საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 3 ივლისი, 2014 წელი.

№128 (7509)

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

◎ ფრთხილად, თორემ!..

პასუხისმგებლობა სააკაშვილის ავანტიურისტულ რეჟიმთან ერთად ამჟამინდელ ხელისუფლებასაც დაეკისრება!

③

◎ კატათაგვობანა ოცნებურად

„ადამიანს რომ იჭერ, მაგრამ თან ვერ იჭერ, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე უშვებს წყალს“

④

აქცია დევიზით - „ბიუჯეტის ვირთხის ადგილი ციხეშია!“

ბაჩანა ახალაიას ბრალდება წარედგინა

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, გუშინ, სერგო თეთრაძის გარდაცვალების საძმეზე, თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბაჩანა ახალაიას ბრალდება წარუდგინა წამების, სექსუალური ძალადობის ორგანიზების და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის.

როგორც პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ბაჩანა ახალაიამ, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მეგის ქარდავასთან და №8 საპყრობილის დირექტორ ალექსანდრე მუხაძესთან ერთად გადაწყვიტა წარმატებული ხელმძღვანელის სახელის მოსაპოვებლად, უდანაშაულო მოქალაქეთა წამების გზით, მიეღო აღიარებითი ჩვენებები.

პროკურატურის ინფორმაციით, 2011 წლის სექტემბრის თვეში, სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შენობაში ბაჩანა ახალაია, მეგის ქარდავა, ალექსანდრე მუხაძე და სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის რამდენიმე თანამშრომელი, ჯაშუშობის აღიარების მოთხოვნით, დაახლოებით 4-5 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ სცემდნენ და დამამცირებლად ეპყრობოდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ოფიცერს, ვიცეპოლკოვნიკ დავით ლონდარიძეს, თადარიგის პოლკოვნიკს სერგო თეთრაძეს და მოქალაქეებს სერგეი ჩაპლიგინს და გიორგი გორელაშვილს.

— ცემისა და წამების დროს, ბაჩანა ახალაიამ ამოიღო თანნაქონი იარაღი, მიაბჯინა სახეზე ვიცეპოლკოვნიკ დავით ლონდარიძეს და დაემუქრა მოკვლით თუ ეს უკანსკნელი არ აღიარებდა დანაშაულს, თან აგინებდა და აყენებდა ფიზიკურ შეურაცხყოფას. ამის შემდეგ, როდესაც ცემისაგან დაუძლურებულ დავით ლონდარიძეს მეგის ქარდავა დაემუქრა სექსუალური ძალადობით, ეს უკანასკნელი იძულებული გახდა, დათანხმებულიყო მასზე მოძალადე პირების მოთხოვნას და ეღიარებინა, თითქოსდა იგი ჩადიოდა ჯაშუშობას საქართველოს წინააღმდეგ.

მორიგი იძულებითი აღიარების მიღების მიზნით, მეგის ქარდავა, სამხედრო პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, ბაჩანა ახალაიასთან შეთანხმებით, გიორგი გორელაშვილს მთელი დღის განმავლობაში აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას.

ასევე, აღიარების მიღების მიზნით, ისინი სერგო თეთრაძეს აყენებდნენ ძლიერ ფიზიკურ და მორალურ ტანჯვას, თავზე ჩამოაცვეს პოლიეთილენის პარკი და არ აძლევდნენ სუნთქვის საშუალებას. სერგო თეთრაძემაც, მიუხედავად მის მიმართ განხორციელებული ძლიერი ფიზიკური ძალადობისა, არ აღიარა მისთვის დაბრალებული დანაშაული. ამის გამო, ბაჩანა ახალაიამ სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მეგის ქარდავასთან ერთად ორგანიზება გაუკეთა სერგო თეთრაძის შემდგომ წამებას და სექსუალურ ძალადობას, რის საფუძველზეც, 2011 წლის 23 სექტემბერს, ბაჩანა ახალაიას გეგმის მიხედვით, №8 საპყრობილეში მოთავსებულმა პატიმრებმა ალექსი ტერაშვილმა და თამაზ სისაურმა საკანში, სერგო თეთრაძის მიმართ განახორციელეს სექსუალური ძალადობა. სერგო თეთრაძე მასზე განხორციელებული წამების შედეგად გახდა ცუდად და გულსისხლძარღვთა მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა გონს მოუსვლელად.

საზოგადოებას შევახსენებთ, რომ აღნიშნულ საქმეზე უკვე გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და გასამართლებულნი არიან სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე მეგის ქარდავა, №8 საპყრობილის ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე, ამავე დაწესებულების თანამშრომლები ვიქტორ ყაჭეიშვილი და ოლეგ ფაცაცია, თითოეულს სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რაც შეეხება ბაჩანა ახალაიას, როგორც ამ დანაშაულის ორგანიზატორს, მისი ბრალდების საქმეზე გრძელდება გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1441-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 15 წლამდე ვადით“, — ნათქვამია განცხადებაში.

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

„დღეს დიდი ილიას ჭაპანი თითოეულმა ჩვენგანმა ძალისამებრ ჩვენისა უნდა გავწიოთ“

უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე საქართველოში მიწის გასხვისების პროცესთან დაკავშირებით, საპატრიარქო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის განცხადებას ავრცელებს.

— დღეს, როდესაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო სოფლად მცხოვრები მოსახლეობის დიდი უმრავლესობა სიღატაკის ზღვარზეა და ბევრ შემთხვევაში, იძულებულია თავისი ქონება ძალზე იაფად გაასხვისოს, ახალი რეალობა დიდი დარტყმის წინაშე დააყენებს სახელმწიფოს. თავისთავად უცხოური კაპიტალისა და თანამედროვე ტექნოლოგიების დამკვიდრება მისასალმებელია, რადგან შეუძლებელია ამის გარეშე ქვეყნის განვითარება. მაგრამ ეს პროცესი უმართავი არ უნდა გახდეს. მან არ უნდა განაპირობოს ყველაზე დიდი მატერიალური სიმდიდრის, ჩვენი მიწა-წყლის დაკარგვა და ჩვენი მოქალაქეების მხოლოდ მოსამსახურე პერსონალად გადაქცევა. არ უნდა მოხდეს ისე, რომ ამ ქვეყნის მკვიდრთ, რომელთაც, პირველ რიგში, ეკუთვნით აქაური სიკეთე და დოვლათი, აღარ ჰქონდეს შიდასამეწარმეო რესურსების გამოყენების საშუალება, — აღნიშნულია განცხადებაში.

ამასთან, პატრიარქი განცხადებაში აღნიშნავს, რომ სახელმწიფომ ერთი წელია, სერიოზული ნაბიჯები გადადგა სოფლის მეურნეობაში არსებული სიტუაციის გამოსწორებისათვის. მაგრამ ამჟამად შექმნილი ვითარება სხვა ქმედებების განხორციელებასაც საჭიროებს. მათ შორის, შეღავათიან და გრძელვადიანი სესხების გაცემას. აღნიშნულიდან გამომდინარე, პატრიარქი განცხადებაში მიმართავს ხელისუფლებას, ბანკებსა და მიკროსაფინანსო დაწესებულებებს, ასევე ბიზნესმენებს. კერძოდ, პატრიარქი მიმართავს ხელისუფლებას, სწრაფად მიიღოს ზომები და ევროპის რიგი ქვეყნების მსგავსად შეიმუშაოს სათანადო რეგულაციები, **„რათა განეიტრალდეს ფრიად ნეგატიური მოსალოდნელი შედეგები, მითუმეტეს, რომ კონსტიტუციის 21-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია ამის შესაძლებლობას იძლევა“.**

პატრიარქი ასევე მიმართავს ბანკებსა და მიკროსაფინანსო დაწესებულებებს, მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე, გარკვეული რეგულაციების დადგენამდე, შეაჩერონ სესხების დაფარვის მიზნით მიწის გასხვისების პროცესი ან შეღავათიანი გადახდის პირობები დააწესონ.

პატრიარქი მიმართავს ბიზნესმენებს, გააქტიურონ საქმიანობა სოფლის მეურნეობის სფეროში და დააბანდონ თავიანთი კაპიტალი ახალ ტექნოლოგიებსა და გადამმუშავებელ მრეწველობაში. ხელი შეუწყონ ეკოლოგიურად სუფთა კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას. რათა მათი ექსპორტი მოხდეს საზღვარგარეთ. ასევე მიმართავს მიწათმოქმედებს, მეტი სიყვარული გამოიჩინონ შრომისადმი, დაამუშაონ ნაკვეთები, მოუარონ მათ და შვილებს შეუნახონ ეს ქონება.

— მიწაზე მომუშავე ადამიანებმა უნდა იცოდნენ ისიც, რომ მის საქმიანობას დალოცვა სჭირდება. სოფლად მოღვაწე სასულიერო პირებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა უფასოდ, ყოველწლიურად უკურთხონ ხალხს ნაკვეთები, თესლი და მოსავალი, აგრეთვე, სახლ-კარი, საქონელი და პირუტყვი, რომ ხალხის შრომამ ნაყოფი გამოიღოს და დაცული იყოს სხვადასხვა საშიშროებისაგან. ეს უძველესი ტრადიცია უნდა აღდგეს და მოსახლეობამ გაითავისოს. საერთოდაც, ყველანი უნდა გავერთიანდეთ და სამშობლოს შევეხიდოთ, განსაკუთრებით ვთხოვ ამას ჩვენს ახალგაზრდებს, — აღნიშნულია განცხადებაში.

პატრიარქის განცხადების თანახმად, მსგავსი პრობლემების წინაშე ჩვენი ქვეყანა მე-19 საუკუნის დასასრულსაც იდგა, სწორედ ამიტომ დააარსა მაშინ წმინდა ილია მართალმა საადგილმამულო ბანკი.

„დღეს დიდი ილიას ჭაპანი თითოეულმა ჩვენგანმა ძალისამებრ ჩვენისა უნდა გავწიოთ“, — ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

◎ სამძიმარი

მისი თანამოაზრეები გააგრძელებენ იმ დიდ საქმეს, რომელსაც სულეიმან სულეიმანოვი ემსახურებოდა

მწუხარებას გამოვთქვამ გაზეთ „გურჯისტანის“ მთავარი რედაქტორის სულეიმან სულეიმანოვის გარდაცვალების გამო და სამძიმარს ვუცხადებ მის ოჯახს, მეგობრებს.

წლების განმავლობაში სულეიმან სულეიმანოვი ერთგულად ემსახურებოდა ქართულ ჟურნალისტიკას და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამსახურება ქართულ-აზერბაიჯანული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში.

დარწმუნებული ვარ, მისი თანამოაზრეები გააგრძელებენ იმ დიდ საქმეს, რომელსაც სულეიმან სულეიმანოვი ემსახურებოდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი
ირაკლი ღარიბაშვილი

◎ ინფორმაცია

ივლიანე ხაინდრავა უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ დაინიშნა

შესაბამისი განკარგულება პრეზიდენტმა უკვე გამოსცა.

ივლიანე ხაინდრავა 1992-1995 და 2004-2008 წლების მოწვევის პარლამენტის წევრი იყო. საპარლამენტო საქმიანობის პერიოდში იყო თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის, ევროინტეგრაციის კომიტეტის, აფხაზეთის საქმეთა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების, სამხრეთ კავკასიის საპარლამენტო ინიციატივის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი.

სხვადასხვა დროს მუშაობდა არასამთავრობო ორგანიზაციებში „რესპუბლიკური ინსტიტუტი“ და „განვითარებისა და თანამშრომლობის ცენტრი — პლურალიზმის ცენტრი“, იყო რეიგან-ფასელის დემოკრატიული კვლევების პროგრამის მოწვეული მკვლევარი (დემოკრატიის კვლევების საერთაშორისო ფორუმი, ეროვნული ფონდი დემოკრატიისთვის, ვაშინგტონი, აშშ). 2012 წლიდან — საქართველოს პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის გამგეობის წევრი.

ივლიანე ხაინდრავა რესპუბლიკური პარტიის წევრია.

◎ ინფორმაცია

15 ათასამდე საჯარო მოხელე ატესტაციას გაივლის

კონკურსებისა და ატესტაციის ერთ-ერთი სავალდებულო ეტაპი — ტესტირება, ადგილობრივ ორგანოებს გარეთ იქნება გატანილი.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა განუცხადა.

„ატესტაცია შეეხება ყველას. ტესტირება მთავრობის მიერ განსაზღვრულ დაწესებულებებში ჩატარდება. ვფიქრობთ, რომ აქ ჩართული იქნება ოთხი ორგანიზაცია: ეროვნული გამოცდების ცენტრი, იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრი, ფინანსთა სამინისტროს და შსს-ს სასწავლო აკადემია. ტესტირების ეტაპი გარეთ უნდა იყოს გატანილი, — განაცხადა თენგიზ შერგელაშვილმა.

პარლამენტს განსახილველად „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები წარედგინა, რომლის მიხედვით, ადგილობრივმა საჯარო მოხელეებმა ერთი წლის განმავლობაში — 2015 წლის 1 ივლისამდე ატესტაცია უნდა გაიარონ. ატესტაციის და მასთან ერთად კონკურსის ერთ-ერთი აუცილებელი ეტაპი ტესტირება იქნება.

ამასთან, პარლამენტის მიერ მიღებული ახალი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ გათვალისწინებით, ადგილობრივ თვითმმართველობებში დასაქმებულ პირთა რაოდენობის ოპტიმიზაცია უნდა მოხდეს, რადგან თითოეულ მუნიციპალიტეტში საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობა არანაკლებ 30 ერთეულით განისაზღვრა, რასაც 500 ამომრჩეველზე ერთი საშტატო ერთეული დაემატება.

◎ წინ რთველია!

მხოლოდ თეთრი ყურძენი დაფინანსდება

წლეულს სახელმწიფო რთვლის სუბსიდირებას გააგრძელებს, ოღონდ მოკრძალებულად. ამჯერად მხოლოდ „რქაწითელისა“ და „კახური მწვანეს“ შესყიდვა დაფინანსდება. სავარაუდოდ, თანხაც შემცირდება, რასაც ღვინის ეროვნულ სააგენტოში წარმოების გაზრდას უკავშირებენ და ყურძენზე მაღალი მოთხოვნის მოლოდინით ხსნიან.

ამ ეტაპზე სუბსიდიის მოცულობა ზუსტდება. შარშან კი დაფინანსების მთლიანმა თანხამ 30 მლნ ლარს გადააჭარბა. აქედან, 25 მილიონი თეთრ ყურძენზე (1 კგ — 40 თეთრი), 6 მლნ-ზე მეტი კი წითელ ყურძენზე მოდიოდა, რაც წელს აღარ არის გათვალისწინებული.

ღვინის სააგენტოში აცხადებენ, რომ საფერავის, ალექსანდროულის, მუჯურეთუულისა და ცოლიკაურის ჯიშის ყურძენზე მოთხოვნა ყოველთვის ისედაც მაღალია, შესაბამისად, სუბსიდირების საჭიროება არ არის. ყურძნის მოსავალთან დაკავშირებითაც ოპტიმისტურადაა განწყობილი სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

„მოლოდინი საკმაოდ კარგი გვაქვს. წინასწარი მონაცემებით, შარშანდელთან შედარებით, დაახლოებით 20%-ით მეტ მოსავალს ველოდებით. სასიამოვნოა, რომ მნიშვნელოვნად გაზრდილია ღვინის ექსპორტიც. მოთხოვნა უკვე გაიზარდა თეთრ ყურძენზე. რაც შეეხება წითელ ყურძენზე მოთხოვნას, სავარაუდოდ ის 2-ჯერ მეტია, ვიდრე მოსავალი.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, იმედი გვაქვს, რომ რთველს კარგად ჩავატარებთ. ჩვენი მიდგომაა, რომ ამ პროცესში ძირითადი მოთამაშე იყოს კერძო სექტორი და არა სახელმწიფო. უნდა შევქმნათ გარემო პროცესის სწორად წარმართვისათვის. მევენახეებისთვის იქნება რთველის ისეთი პირობები, რაც მათ სტიმულს მისცემს დამატებით ფართობებზე ვენახები გააშენონ“, — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ.

მისი ინფორმაციით, შარშანდელი რთვლის მსგავსად, წელსაც გამოყოფილი იქნება საკრედიტო რესურსი და ღვინის მწარმოებელ კომპანიებს საშუალება ექნებათ ისარგებლონ შეღავათიანი სესხებით. წინასწარი ინფორმაციით, სუბსიდირების სისტემაც შენარჩუნდება.

რთვლის საკოორდინაციო შტაბი ამჯერადაც გურჯაანის რაიონში განთავსება. იგი 20 აგვისტოდან ოფიციალურად გაიხსნება.

„შტაბის ამოქმედების შემდეგ ნებისმიერ საკითხზე უფრო ინტენსიური კომუნიკაცია გვექნება. ყველა საწარმოში იმუშავებს ჩვენი ოპერატორი და ჩაბარებული ყურძნის აღრიცხვა კომპიტერული პროგრამით მოხდება. მეწარმეებს შეღავათიანი აგროკრედიტით სარგებლობის საშუალებაც ექნებათ. 2014 წლის რთველი ხარისხზე ორიენტირებული იქნება“, — აღნიშნა დავითაშვილმა.

საადგილო ღვინის ფალსიფიცირების თავიდან ასაცილებლად, ყურძნის დაწურვის შედეგად მიღებული მასის გაყიდვაზე კონტროლს დააწესებს.

„ჩვენ წელს პირველად გავაკონტროლებთ, რომ საწარმოები კერძო პირებს ჭაჭას აღარ მიჰყიდიან. ეს არის წყარო ფალსიფიცირებული ღვინისა, რომელიც, ძირითადად, ჩამოსასხმელი სახით ადგილობრივ ბაზრებზე ხვდება და არა ეტიკეტირებულ ბოთლებში, რადგან ყველა შეფუთვა კონტროლდება“, — განაცხადა დავითაშვილმა და დასძინა, რომ რთვლის საორგანიზაციო შტაბის მონიტორები რთველში რეგისტრირებულ საწარმოებში სწორედ ამ მიმართულებით იმუშავებენ.

რაც შეეხება საოჯახო მეურნეობებს, დავითაშვილი აღიარებს, რომ ამ შემთხვევაში სახელმწიფოს ჭაჭის გამოყენებაზე კონტროლს ვერ აწესებს.

ბექა დანელია

პასუხისმგებლობა სააკაშვილის ავანტიურისტულ რეჟიმთან ერთად ამჟამინდელ ხელისუფლებასაც დაეკისრება!

უკანასკნელ პერიოდში, ე.წ. სამხრეთ ოსეთის პარლამენტის თავმჯდომარის ბიბილოვის მიზანმიმართულ განცხადებებს იმის შესახებ, რომ რეფერენდუმს ჩაატარებენ და მის შედეგებზე დაყრდნობით ოსური მოსახლეობა რუსეთის ფედერაციაში შესვლას მოითხოვს, საქართველოს ხელისუფლებამ „სირაქლემის პოლიტიკა“ არ უნდა დაუპირისპიროს!

ცხადია, რომ რუსეთის ფედერაციაში ე.წ. სამხრეთ ოსეთის „შესვლის“ ეს თემა მოსკოვის შემოგდებულია, პუტინის მრჩეველის სამხრეთ კავკასიის საკითხებში ვლადისლავ სურკოვის ჩასვლაც ცხინვალში ამას ადასტურებს. ასე რომ, საქმე სერიოზულადაა და თუ საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ იმით ინუგეშებს თავს, რომ ეს აქტი (ცხინვალური რეფერენდუმი) საერთაშორისო სამართალს ეწინააღმდეგება, ეს ვერ დაგვიცავს იმისგან, რაც შეიძლება განვითარდეს! დიახ, ქართულ პოლიტიკურ ელიტაში, ვისაც პოლიტიკური განჭვრეტის ან ელემენტარული წარმოსახვის უნარი არ გააჩნია, მათ საყურადღებოდ მოგახსენებთ მოვლენების მოსალოდნელი განვითარების შესახებ, რომელიც დასრულდება იმით, რომ – ქ. გორის სიახლოვეს, ავტობანიდან რამდენიმე ასეულ მეტრში, რუსები, ე.წ. სამხრეთ ოსეთის „საზღვრის“ აღმნიშვნელი წარწერის ნაცვლად, „სასაზღვრო დაფაზე“ ასეთ წარწერას გააკეთებენ – „გოსუდარსტვენაია გრანიცა როსისკოი ფედერაციი“! მავანს, ნუთუ ვერაფერი ასწავლა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებმა და რუსეთის მიერ ყირიმის ანექსიამ?! დააკვირდით, არათუ ოკუპირება, არამედ ვეებერთელა უკრაინის (მოსახლეობა, 46 მილიონი) ნაწილის ანექსია განახორციელა რუსეთმა, არაფრად ჩააგდო „საერთაშორისო სამართალი“ და საპასუხოდ, დასავლეთი მხოლოდ ეკონომიკური სანქციებით შემოიფარგლა!

გარდა ამისა, დასავლეთი არ ურჩევს უკრაინას, რომ მან გაწყვიტოს დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთთან და მხოლოდ, დიალოგის გზით შეეცადოს პრობლემების მოგვარებას! ჩვენ, ქართველებს კი, რისი იმედი გვაქვს, თუ არა დიალოგისა, აკი უკრაინას სულ ამას უკიჟინებენ დასავლეთში, დიალოგია საჭირო აგრესორ რუსეთთანო. რატომ არ ვიწყებთ ამ პროცესს, ვის ინტერესებშია, რომ ქართულ-რუსული შეხვედრა არ შედგეს უმაღლეს დონეზე?! აგერ, საფრანგეთში საერთაშორისო ფორუმზე, ლამის რეზიდენციის ეზოში „შეახვედრა და ალაპარაკა 15 წუთი“ ერთმანეთთან, კანცლერმა მერკელმა – პრეზიდენტები პუტინი და პოროშენკო. ქართველებმა რა დავაშავეთ, თუ საქართველოს „სხვა დანიშნულება აქვს“ ვიღაცებისთვის უცხოეთში და ამ „დავალებას“ ასრულებენ „ვიღაცები“, აქ, საქართველოში?! მოკლედ, სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ასეთი საგარეო სტრატეგიით არაფრით განსხვავდება სააკაშვილის რეჟიმისგან, უბრალოდ რიტორიკაა შერბილებული რუსეთისადმი და მასთან (კარასინი) სასაუბროდ ჰუმანიტარულ-სავაჭრო საკითხებზე გამწესებულია ბნი აბაშიძე, ეგ არის და ეგ! ეს ყოველივე ძვირად დაგვიჯდება (ქვეყნის ტერიტორიის 20%-ის დაკარგვით), თუ მხოლოდ დასავლეთის მიმართულებით ვიაქტიურეთ (ასოცირების ხელშეკრულება ევროკავშირთან, ნატოს უელსის სამიტი და სხვა), ხოლო ჩრდილოეთს „დემონსტრაციულად ზურგი ვაქციეთ“. რეალური საშიშროება ის გახლავთ, რომ აი, სწორედ „ამ შექცეულ ზურგზე“ არ დაგვაწეროს ის წარწერა რუსეთმა, რაც ზევით მოვიყვანე, – არა მარტო შიდა ქართლში, არამედ ენგურის გასწვრივაც! ეს, რომ არ მოხდეს, ამიტომაა საჭირო აბაშიძე-კარასინის პრაღის შეხვედრაზე ივლისში, უკვე დაიწყოს საუბარი უმაღლეს დონეზე ქართულ-რუსული შეხვედრის თაობაზე!..

ევროკავშირთან ასოცირებაზე ხელის მოწერა ძალიან მნიშვნელოვანი და საზეიმო მოვლენაა საქართველოსთვის, მაგრამ, ამასთანავე ვფიქრობ იმაზე, თუ რა შეიძლება მოჰყვეს ამ ფაქტს რუსეთის მხრიდან, როცა მასთან არაერთი მოუგვარებელი პრობლემა გვაქვს, ეს მაშფოთებს და საზეიმო განწყობილებას გარკვეულ ჩრდილს აყენებს, მით უმეტეს, რომ რუსები ღიად აცხადებენ იმის შესახებ, რომ **საქართველოს და ევროკავშირს შორის დადებულმა ხელშეკრულებამ თუ ზიანი მიაყენა რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებს, მაშინ რუსეთი ადეკვატურ ზომებს მიიღებს...** ამავდროულად, სექტემბერში ნატოს უელსის სამიტზე, როგორც უკვე გაცხადდა ოფიციალური წყაროებიდან, საქართველოს მაპ-ს არ და „ვერ“ მისცემენ, მაგრამ, „სამაგიეროდ მაპ-ზე უკეთესზე-უკეთესის“, რაღაც „თანამშრომლობის გაძლიერებული პაკეტის“ მოცემას აპირებს ნატოს ხელმძღვანელობა, რაც უეჭველად აისახება საქართველო-რუსეთის ისედაც გართულებულ და მოუწესრიგებელ ორმხრივ პრობლემებზე. ეს ორივე თარიღი კი, ანუ, ივნისში ევროკავშირის ასოცირებაზე ხელმოწერა და სექტემბერში ნატოს სამიტზე თანამშრომლობის გაძლიერებული პაკეტის მიღება, ურთიერთკავშირშია და კომპლექსურად განიხილება რუსეთის მიერ.

არადა, საქართველოსთვის აჯობებდა, რომ მისი ევროკავშირისკენ სავალ გზაზე, ნატოს მიმართებით რუსეთის „შიშები“ მოხსნილიყო, რაც უზრუნველყოფდა საქართველოს მომავალ გაწევრებას ევროკავშირში!.. ყოველივე ამას ემატება, საქართველოს ოფიციალური პირების (მინისტრები – ალასანია, ზაქარეიშვილი, პეტრიაშვილი) გარკვეულწილად გამაღიზიანებელი განცხადებები (რუსეთისთვის) იმის თაობაზე, რომ მიუხედავად ყველანაირი მცდელობისა რუსეთის მხრიდან, საქართველოს „მაინც“ აქვს პროგრესი ევროკავშირის და ნატოს მიმართულებით... საგარეო საქმეთა მინისტრმა ფანჯიკიძემ კი განცხადება გააკეთა, რომ „საქართველოსთვის, ნატოს ბუქარესტის სამიტის შემდეგ, ნატოს უელსის სამიტი ყველაზე წარმატებული იქნებაო“! თუ მეხსიერება არ მღალატობს, ბუქარესტში ნატოს სამიტი 2008 წლის აპრილში გაიმართა, სადაც მაპ-ის მოცემაზე უარი გვითხრეს (მერკელმა, სარკოზიმ და სხვებმა), მაგრამ საბოლოო რეზოლუციაში ჩაწერეს (ბუშის დაჟინებული მოთხოვნით), რომ – „საქართველო მომავალში აუცილებლად გახდება ნატოს წევრი“, რასაც 3 თვის შემდეგ რუსეთ-საქართველოს ომი, სამშვიდობო ფორმატის დარღვევა, ჩვენი რეგიონების ოკუპაცია და მათი „დამოუკიდებლობის აღიარება“ მოჰყვა რუსეთის მიერ!.. ასე რომ, რა „გარანტია“ აქვს ქ-ნ ფანჯიკიძეს, ან კიდევ სხვებს მთავრობაში თუ პარლამენტში, ასეთ „რიხიან“ განცხადებებს რომ აკეთებენ (უელსის სამიტის შემდეგ, რუსეთის მიერ სოხუმის და ცხინვალის ანექსიას გამორიცხავთ?!)... მე, არ ვიცი და იქნებ ჟურნალისტები დაინტერესდნენ ამით, ოღონდ საფუძვლიანად?! თუმცა, აღარც მიკვირს მათი ასეთი არაპროფესიული და არაპატრიოტული „იოლი მიდგომა“, საქართველოსთვის ისეთი უმთავრესი საკითხისადმი, როგორიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა.

საქმე ის არის, რომ ამჟამინდელი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია (ან, „თავს იკატუნებენ“) ის პოლიტიკურ-სამართლებრივი განსხვავება, რომელიც ჩვენს სეპარატისტულ რეგიონებში იყო და არის ამ 20 წლის მანძილზე. დიახ, ამ „სახელმწიფო მოღვაწეების“ აზრით, თურმე სულერთია, თუ როგორი „სტატუსით“ არის რუსეთი „წარმოჩენილი“, მეტიც, დიდი ნაწილი ამბობს და „მიესალმება“ იმას, რომ რუსეთს „ნიღაბი ჩამოეხსნა“ („ნაცმოძრაობის“ ლიდერების პოზიციებზე დგანან!) და მისი ნამდვილი სახე გამოჩნდა, მას შემდეგ, რაც ოკუპაცია მოახდინაო! როცა მათ ეკითხებით, – კი მაგრამ, ამ საკითხის საბოლოოდ მოსაგვარებლად (ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად), საქართველოსთვის განა არ ჯობდა, რომ რუსეთს „სამშვიდობო სტატუსი“ ჰქონოდა და, – ოკუპაცია და “დამოუკიდებლობების აღიარება“ არ მოეხდინა?! ჩვენი მოქმედი „პოლიტიკოსები“, სხვადასხვა სატელევიზიო ეთერებიდან გვიპასუხებენ, რომ, თურმე: **ა.** „არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას და როგორ დავარქმევთ ამ პოლიტიკურ და სამართლებრივ პროცესს“, მათი აზრით, მთავარია, რომ რუსეთი ოკუპანტია და ეს ყველასთვის ნათელია; **ბ.** ქვეყნის დეოკუპაცია და გამთლიანება მაშინ მოხდება, როცა ოკუპანტი რუსეთი დასავლეთის „ზეწოლით დატოვებს ამ ორ რეგიონსო“!.. **გ.** თურემე, განსხვავება არ არის იმაში, თუ რა მდგომარეობა მოქმედებს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში – სამშვიდობო ფორმატია, თუ ოკუპირებულია ან ანექსირებულია ეს ტერიტორია?!..

აი, მათი „პოზიცია“. როგორ გგონიათ, ეს პოლიტიკოსები ასეთი „სტრატეგიით“ შეძლებენ საქართველოს გამთლიანებას?! – საგანგაშო ის არის, რომ მათთვის „სულერთია“ და თან, ერთმანეთისგან ვერ ანსხვავებენ ამ 3 პოლიტიკურ-სამართლებრივ სტატუსს: სამშვიდობო ფორმატი; ოკუპაცია; ანექსია; – ამ კონკრეტულ პრობლემასთან მიმართებაში, ვისაც „პოლიტიკური დალტონიზმი“ არ აწუხებს, შევეცდები, რომ საერთაშორისო სტანდარტით დადგენილი საფრთხის დონის მომასწავებელ ფერებში ავსახო, ეს სამი პოლიტიკურ-სამართლებრივი მდგომარეობა:1. სამშვიდობო ფორმატი – „ვარდისფერი“; 2. ოკუპაცია – „ფორთოხლისფერი“; 3. ანექსია – „წითელი“; – ასე რომ, ფრთხილად ბატონებო, უკანასკნელ სტადიაში (ანექსია – „წითელი“!) არ გადავიდეს ეს პროცესი, თორემ, მომავალში ვერც ერთი ქართული ხელისუფლება ვეღარ შეძლებს საქართველოს გამთლიანებას, ხოლო პასუხისმგებლობა ამაზე ქვეყნისა და ისტორიის წინაშე, სააკაშვილის ავანტიურისტულ რეჟიმთან ერთად ამჟამინდელ ხელისუფლებასაც დაეკისრება!...

ჯუმბერ კირვალიძე,
პოლიტოლოგი

◎ ალიანჩალიანი

ქართულ თაფლზე დიდი მოთხოვნაა

წლის ბოლომდე ვგეგმავთ ჩვენს ლაბორატორიაში თაფლის დიაგნოსტიკა და საერთაშორისო სერტიფიცირება მოხდეს, – ამის შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიამ „ინტერპრესნიუსის“ ეკონომიკურ დამატება ბპნ.გე-თან ინტერვიუში განაცხადა.

მისივე თქმით, აქამდე საქართველოში თაფლზე საერთაშორისო სერტიფიკატის გამცემი ორგანო არ არსებობდა.

– შესაბამისად ცხოველური წამოშობის ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებულ პროდუქციაზე პირველ ეტაპზე შევძლებთ თაფლის დამზადებას, შემდეგ იქნება თევზი და სხვა ცხოველური წარმოშობის პროდუქცია. ქართულ თაფლზე დიდი მოთხოვნაა, – აღნიშნა შალვა ფიფიამ.

ამასთან, სოფლის მეურნეობის მინისტრმა ასოციირების ხელშეკრულების გაფორმებაზე და ამ კუთხით სოფლის მეურნეობის დარგში მოსალოდნელ ცვლილებებზე ისაუბრა. მისი განმარტებით, ევროპის ბაზარზე ნიორი არის ერთადერთი პროდუქტი, რომელზეც არსებობს კვოტა 220 ტონა წელიწადში, თუმცა, უწყება ამაში პრობლემას ვერ ხედავს.

– დანარჩენი არც ერთ პროდუქტზე კვოტა არ გვაქვს, არამედ გვაქვს ე.წ ტრიგერული რაოდენობა, რაც ნიშნავს რომ თუ მივუახლოვდებით ამ ტრიგერული (წინასწარ ფიქსირებული) მოცულობის ზღვარს ჩვენ უნდა ვაცნობოთ ევროკავშირს, რომ წელს ამ რაოდენობას გადავაჭარბებთ და თავისუფალია გადასახადისაგან. რაც შეეხება ადვალურ გადასახდს ეს ნიშნავს, რომ თუ კონკრეტული პროდუქტის (რაზეც ვრცელდება ადვალური გადასახადი) საბოლოო სარეალიზაციო საცალო ფასი ევროკავშირში არის რაღაც ფასზე (ე.წ ადვალურ ფასზე) ნაკლები, მაშინ მეწარმემ უნდა გადაიხადოს სხვაობა ადვალურ ფასსა და თავის სარეალიზაციო ფასს შორის. მაგრამ იმდენად დაბალი ფასებია იმ ყველა პოზიციაზე, რაც არსებობს (ხელშეკრულებაში), რომ პრაქტიკულად შეუძლებელია ეს ფასი დაჯდეს, – განმარტა მინისტრმა.

მისივე ინფორმაციით, ყველა ის პროდუქტი, რომელიც დღეს უკვე გადის ევროკავშირის ბაზარზე, როგორიცაა ღვინო, სპირტიანი სასმელები, მინერალური წყლები, თხილი, გამხმარი და გაყინული ხილი, სხვა თხილკაკალი, წაბლი - ისევ გავა ტარიფის გარეშე.

ინტერპრესი

„ადამიანს რომ იჭერ, მაგრამ თან ვერ იჭერ, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე უშვებს წყალს“

სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების გაფლანგვის ფაქტზე, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა გიგი უგულავას სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა. საქმე ეხება 2007 წლის 7 დეკემბერს „სითი პარკსა“ და თბილისის მთავრობას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას. უგულავამ ცენტრალური ბიუჯეტის განზრახ უგულებელყოფით გაფლანგა სახელმწიფო კუთვნილი 1 086 718 ლარი.

ექსპერტი გია ხუხაშვილი For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ გიგი უგულავას დაჭერისთვის საკმაო საფუძველი არსებობდა. მისივე თქმით, მისი გაუთავებელი დაკითხვებზე დაბარებები კი, „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე უშვებს წყალს.

— გიგი უგულავას ბრალი წაუყენეს, თუმც მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიება გამოყენებული არ არის. როგორ ფიქრობთ, საკმარისი მტკიცებულება არ არსებობს?

— გიგი უგულავა რომ კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანია, ისევე, როგორც მთელი „ნაციონალური მოძრაობა“, ეს ყველამ ვიცით. ვფიქრობ, რომ აქამდე საკმაოდ დიდი საფუძველი იყო, რომ გიგი უგულავა უკვე ციხეში მჯდარიყო. იმდენად უცნაურად მიდის ეს ყველაფერი და იმდენად პოზიტიური პოლიტიკური შედეგი მოაქვს ამ ყველაფერს „ნაციონალური მოძრაობისთვის“, უკვე ეჭვებში ვვარდები, შეთქმულების თეორია მოდის წინა პლანზე. გაუგებარია, მეორე ტურის წინ ასეთი ტიპის ესკალაცია გიგი უგულავას მისამართით, მით უმეტეს, როცა ეს ესკალაცია არაფრით არ მთავრდება. ის რომ, დამნაშავეა, ქვეყნის მოსახლეობას ვერდიქტი დიდი ხანია, გამოტანილი აქვს. ადამიანს რომ იჭერ, მაგრამ თან ვერ იჭერ და ის გმირის სახით გამოდის, ეს ყველაფერი „ნაციონალური მოძრაობის“ წისქვილზე უშვებს წყალს.

— როგორ ფიქრობთ, საკმარისი კითხვები არ არსებობს?

— კითხვები კი არ არსებობს, არამედ მთელი „ნაციონალური მოძრაობა“ არის კრიმინალური ორგანიზაცია, ამ კრიმინალური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და იდეოლოგი არის გიგი უგულავა. დანაშაულის გამო ხდება ადამიანების დასჯა. ანუ ხდება სამართლის და პოლიტიკის ერთმანეთისგან გაყოფა, რაც ვერა და ვერ მოახერხა დღევანდელმა ხელისუფლებამ. ყველაფერს ისეთი ფორმით აკეთებენ, რომ უფრო და უფრო უახლოვდება პოლიტიკა და სამართალი ერთმანეთს. უგულავა აქამდე იყო დასაპატიმრებელი და, ჩემი აზრით, ამის საკმარისზე მეტი საფუძველი არსებობს.

— რას გულისხმობთ?

— ის არის ქალაქის ყოფილი მერი. პირველი უგუნურება იყო, როდესაც შეუწყვიტეს უფლებამოსილება, რაც, ჩემი აზრით, წმინდა პიარულად, საარჩევნო პროცესში იყო წამგებიანი. მერე — სასამართლოზე ეს უცნაური რამ - პროკურორების სემინარებზე ყოფნა იმდენად მიამიტად კეთდება, იმდენად თეთრი ძაფით იკერება, რომ ამ კრიმინალური ადამიანების ჯგუფს ნაცვლად იმისა, რომ ისინი წავიდნენ იქ, სადაც უნდა წავიდნენ, პოლიტიკურ ბეგრაუნდს უუმჯობესებენ.

— ვინ და რატომ უუმჯობესებს „ნაციონალურ მოძრაობას“ პოლიტკურ ბეგრაუნდს?

— გიგი უგულავა ბოლომდე რომ ყოფილიყო ქალაქის მერი, ვფიქრობ, დღეს ნარმანიას უკვე მოგებული ექნებოდა არჩევნები. შეუჩერეს უფლებამოსილება, ამით საპროტესტო ელექტორატში გააჩინეს რაღაცა გაუგებარი შეგრძნებები, შეიტანეს დაბნეულობა, გამოაცხადეს მორატორიუმი... ახლაც, არჩევნების მეორე ტურის წინ, უგულავას იბარებენ, რითაც საშუალებას აძლევენ „ნაციონალურ მოძრაობას“ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, ილაპარაკონ ისევ პოლიტიკურ დევნაზე და აქციები ატარონ. ეს ყველაფრი არის ტაქტიკური პოლიტიკური შეცდომები და მეტი არაფერი. თუ უგულავას დააპატიმრებენ, მაშინ კიდევ გავიგებ, მაგრამ თუ გარეთ გამოუშვებენ, დიდი ბოდიში...

— თუ არა პოლიტიკური გარიგება, მაშინ რატომ უწყობს ხელს საგამოძიებო უწყება „ნაციონალური მოძრაობის“ ბეგრაუნდს?

— წარმოუდგენლად მიმაჩნია ხელისუფლების მხრიდან რაღაცა ასეთი ტიპის გარიგება, თუმცა, საფუძველი იქმნება, რომ რაღაცა შეთქმულების თეორია განავითაროს ადამიანმა. საზღვარი აქვს ყველაფერს — არაკომპეტენტურობას, არაპროფესიონალიზმს, ხედვის არარსებობას, მაგრამ... აქამდე დაეჭირათ ან აცადონ ნარმანიას, რომ გახდეს მერი და მერე დაიწყონ ეს რაღაცები. წარმოუდგენელი რამ არის.

— როგორ ფიქრობთ, რა ხდება მაშინ? სახელმწიფო უწყების მოქმედებას საზოგადოება აღიქვამს როგორც გარიგებას...

— არაფრით არ მინდა ამის დაშვება. წარმოუდგენელია.

— ერთია, თქვენ არ გინდათ დაშვება და მეორეა ფაქტები, რომელსაც ჩვენ ვხედავთ...

— შეთქმულების თეორიით თუ წავალთ, ამ ეჭვებს და კითხვებს საფუძველი აქვს, მაგრამ არ მინდა, შეთქმულების თეორიაზე ვილაპარაკო. მეორე მხრივ, არაკომპეტენტურობასაც ხომ აქვს თავისი ზღვარი. უნდა გითხრათ, რომ დღევანადელი ხელისუფლების მთავარი ამოცანა ყოველთვის იყო პოლიტიკის და სამართლის ერთმანეთისგან გამიჯვნა. ნაცვლად ამისა, ყველაფერს ისე აკეთებენ, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ აძლევენ სრულ საშუალებას, რომ პოლიტიკა და სამართალი ერთმანეთში აიზილოს. ისეთი ფორმით და ისეთ დროს ხდება ეს ყველაფერი, დაწყებული მერიის თანამშრომლების დაკავებით, რომ არ მინდა აქ... მირჩევნია, რომ ეს არაკომპეტენტურობა იყოს. არაკომპეტენტურობაც მეორე უბედურებაა, მაგრამ მაინც ასე მირჩევნია.

— საგამოძიებო ორგანოს ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც საბოტაჟი?

— ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა და ასეთ ბრალდებას ვერავის ვერ წავუყენებ. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ხელისუფლების საშუალო და ქვედა რგოლში, სადაც, როგორც ჩანს, ხშირ შემთხვევაში მიიღება ასეთი ტიპის გადაწყვეტილება, ზოგჯერ, შესაძლოა, სარგებლობდნენ ხელმძღვანელის პოლიტიკური არაპროფესიონალიზმით. შეიძლება ქვედა და საშუალო რგოლებით, აგენტურის მეშვეობით, იდგმება ასეთი ნაბიჯები. ამას ვერ გამოვრიცხავ.

— უმრავლესობის წევრი ირაკლი ჩიქოვანი აცხადებს, რომ გიგი უგულავას მიმართ „კიდევ ბევრი კითხვა გაჩნდება“. ასეთი შეფასება უმრავალესობის მხრიდან ისმის მუდმივად, მაგრამ ამის ფინალი არის ის, რომ უგულავა პიარაქციით არის დაკავებული...

— მე მგონია, რომ ამ განცხადებით ამერიკა არ აღმოუჩენია ჩიქოვანს. უგულავასთან მიმართებაში კითხვები კი არ გაჩნდება, კითხვები არსებობს. აბსოლუტურად ყველა დანაშაული, რაც ამ ქვეყანაში მომხდარა პოლიტიკური, ძალადობრივი, თუ კორუფციული, გიგი უგულავა არის ყველა დანაშაულის თანამონაწილე, ისევე როგორც ის 5-6 კაცი, ვინც ჯიჯგნიდა ამ ქვეყანას. ეს კითხვა არის, მაგრამ რატომ ისმება ეს კითხვები ისეთი ფორმით, რაც ისევ მათ სასარგებლოდ მუშაობს, ეს არის პრობლემა.

— სწორედ ამიტომ ჩნდება კითხვა, თუ არა გარიგება, მაშინ ადგილი ხომ არ აქვს საბოტაჟს?

— რა თქმა უნდა, ეს კითხვები არის. მე გამოვრიცხავ ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან ასეთი ტიპის გარიგებას, მაგრამ ამ პროცესში საშუალო და ქვედა დონეზე ადამიანებს, რომლებიც შეიძლება ვალდებულები არიან იგივე, გიგი უგულავასთან, ან სხვასთან, შეუძლიათ, პოლიტიკურ ხელმძღვანელობას უბიძგონ ასეთი ტიპის არაპროფესიონალური და რიგ შემთხვევაში უგუნური ნაბიჯებისკენ და ამის შემდეგ ვიღებთ ამ მარაზმს, რასაც ვიღებთ.

კეზერაშვილის საქმეს შეგახსენებთ, კეზერაშვილთან დაკავშირებით საფრანგეთის სასამართლოზე იყო დაშვებული სისტემური შეცდომები. იყო შანსი, რომ კეზერაშვილი გადმოეცათ ქართული მხარისთვის, მაგრამ რიგი ხარვეზებისა, შეგნებულად თუ შეუგნებლად, კეზერაშვილი სამართალს დაუსხლტდა. პარიზში სასამართლოს წინ კეზერაშვილის ადვოკატებს ჰქონდათ პრობლემა, დაემტკიცებინათ, რომ საქართველოში მის მიმართ იყო პოლიტიკური დევნა. მოხდა ასეთი რაღაცა — სასამართლო პროცესამდე რამდენიმე დღით ადრე დაიწყო კამპანია იმის შესახებ, რომ კეზერაშვილი იყო ეჭვმიტანილი იარაღით ვაჭრობაში. ამან იმუშავა კეზერაშვილის სასარგებლოდ.

ადვოკატებმა ეს გამოიყენეს, რათა ფრანგ მოსამართლეს, რომელთანაც ეს საქმე საერთოდ არ ყოფილა, გასჩენოდა იმის რწმენა, რომ კეზერაშვილის მიმართ ხორციელდება პოლიტიკური დევნა. ეს იყო ან შეგნებული საბოტაჟი, ან ძალიან დიდი უგუნურება. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კარგად დაგეგმა ეს ავანტიურა, ვიღაცას შეუგდო, დააწყებინეს ეს კომპანია და ამით გზა გაუხსნეს კეზერაშვილის ადვოკატებს. ასეთი რაღაცები, სამწუხაროდ, ხშირად ხდება. იგივე მერიის თანამშრომლები მანქანებით რომ ასეირნეს, ამით კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს ასპროცენტიანი საქმე უგულავასთან მიმართებაში.

თამთა ქარჩავა

◎ ალიანჩალიანი

აქცია დევიზით - „ბიუჯეტის ვირთხის ადგილი ციხეშია!“

აქციის ორგანიზატორი იყო „ახალგაზრდული ცენტრი“. როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა ზურაბ ქადაგიძემ განაცხადა, ისინი მერიასთან იმისთვის მივიდნენ, რომ კიდევ ერთხელ გააფრთხილონ: გიგი უგულავას ადგილი ციხეშია. მისი თქმით, გიგი უგულავა არის „ბიუჯეტის ვირთხა“.

აქციის მონაწილეები მოუწოდებდნენ სასამართლოს და პროკურატურას, რომ სამართლიანად გამოიძიონ „სითი პარკის“ საქმე და სხვა საქმეები, რომელიც დაკავშირებულია გიგი უგულავასთან და მას უმაღლესი სასჯელი შეუფარდონ.

აქციის მონაწილეები ასევე მოუწოდებდნენ თბილისის მერიის თანამშრომლებს, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ითანამშრომლონ გამოძიებასთან და ხელი შეუწყონ სამართლიან გამოძიებას.

გიგი უგულავას აღმკვეთი ღონისძიების არც ერთი სახე არ შეეფარდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ გიგი უგულავას მიმართ აღმკვეთი ღონისძიების თაობაზე პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. შესაბამისად, გიგი უგულავას აღმკვეთი ღონისძიების არც ერთი სახე არ შეეფარდა. პროკურატურა გიგი უგულავს მიმართ აღკვეთი ღონისძიების სახით 50 000 ლარის გირაოს ოდენობის შეფარდებასა და პასპორტისა და პირადობის მოწმობის ჩამორთმევას მოითხოვდა.

გიგი უგულავა „სითი პარკის“ საქმეზე პასუხისგებაშია მიცემული. ამ საქმეზე წინასასამართლო სხდომა 14 აგვისტოს ჩაინიშნა.

ინტერპრესი

◎ ისევ აფხაზეთის რკინიგზის თაობაზე

ხიდი კონფლიქტის მოგვარების გზაზე?

აფხაზეთის რკინიგზის აღდგენის საკითხი ჩვენს ქვეყანაში დღემდე საკამათოდ რჩება: არის ხალხი, რომელიც ფიქრობს, რომ ეს ნაბიჯი სიკეთეს არ მოგვიტანს, მაგრამ საზოგადოების ერთი ნაწილის აზრით, რკინიგზის ამ მონაკვეთის აღდგენის თემას უფრო მეტი ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. შეგახსენებთ: ამ საკითხმა განსაკუთრებული აქტუალობა და სიმწვავე გასული წლის იანვარში შეიძინა, როცა სომხეთში ვიზიტის დროს, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა თქვა, აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა შესაძლებელია, თუკი ეს ყველა მხარის ნება იქნებაო. ბიზნესისა და საგადასახადო სამართლის ექსპერტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოციირებული პროფესორი აკაკი ჩარგეიშვილი იმ ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება, ვისაც რკინიგზის ამ მონაკვეთის აღდგენა მნიშვნელოვან ნაბიჯად მიაჩნია.

— ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ ეს საკითხი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უკავშირდება. გადავხედოთ თანამედროვე მსოფლიოს, სადაც ტერიტორიული კონფლიქტები ეკონომიკური ურთიერთობების დახმარებით გვარდება. ამის ნათელი მაგალითია კვიპროსი, ბალკანეთის ქვეყნები, ჩინეთისა და ტაილანდის ურთიერთობა — ყველგან არსებობს ხელშეკრულება ეკონომიკური ურთიერთობების თაობაზე. ეს არის სერიოზული ბერკეტი, რომლის გამოყენებაც კონფლიქტის მოსაგვარებლად კარგად შეიძლება. მე მიმაჩნია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი რკინიგზა უნდა აღდგეს. მით უმეტეს, რკინიგზის ამ მონაკვეთის თაობაზე არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები.

— ბატონო აკაკი, ეკონომიკური თვალსაზრისით რამდენად მომგებიანი იქნება რკინიგზის ამ მონაკვეთის ამოქმედება საქართველოსთვის?

— ეკონომიკური ეფექტიც რომ არ ჰქონდეს და ეს სარკინიგზო დერეფანი წამგებიანიც რომ იყოს, ეს იქნება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გზაზე გადადგმული სერიოზული ნაბიჯი, თუმცა, აქვე უნდა ვთქვა: შეიძლება აფხაზეთის რკინიგზა ეკომონომიკური თვალსაზრისითაც არ იყოს წამგებიანი, ეს ტვირთბრუნვაზეა დამოკიდებული. თუ გავითვალისწინებთ, რა ტვირთები მიედინება აზიიდან რუსეთის გავლით, ან ევროპის მიმართულებით, მაშინ სულ სხვა პერსპექტივა ჩნდება. თანაც, აქვეა ირანი, სომხეთი, აზერბაიჯანი... თუ საკმარისი ტვირთბრუნვა არ იქნება, თავისთავად ცხადია, მოგებაც არ გვექნება, მაგრამ კიდევ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ჩვენს სახელმწიფოს რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის აღდგენით არანაირი დიდი დანახარჯი არ ექნება იმიტომ, რომ სოხუმში მატარებლები ჩვეულებრივად შემოდიან. ჩვენ აღსადგენი გვრჩება ტერიტორია ინგირის გადასასვლელიდან სოხუმამდე - მხოლოდ ამ მონაკვეთის რეაბილიტაციაა საჭირო. ჩვენ კი, წინასწარ ვამბობთ უარს იმაზე, რაც ჯერ კიდევ არ განხილულა. მე ვამბობ, რომ უნდა ვიმუშაოთ, დავარწმუნოთ აფხაზები, დავარწმუნოთ ერთმანეთი, კომპეტენტურმა ხალხმა იმსჯელოს, ისაუბროს ამ საკითხზე და ყველაფერი გონივრულად, დაფიქრებულად გადავწყვიტოთ. თავის დროზე ძალიან დიდი შეცდომა დავუშვით სამაჩაბლოშიც: იმის მაგივრად, რომ იურიდიული რეგულაციები დაგვეწესებინა, ერგნეთის ბაზრობა საერთოდ გავაუქმეთ. თქვენ წარმოიდგინეთ, მსჯელობაც კი არ ყოფილა ამ საკითხზე. მოვა ერთი პოლიტიკური ძალა და გააუქმებს რაღაცას, მოვა მეორე — აღადგენს, ასეთი მიდგომა დაუშვებელია!

„ეს სარკინიგზო დერეფანი წამგებიანიც რომ იყოს, ეს იქნება ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის გადადგმული ნაბიჯი"

— არსებობს მოსაზრება, რომ აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა ჩვენ არაფერს შეგვმატებს, რომ მისი ამოქმედება მხოლოდ სომხეთისა და რუსეთის ინტერესებშია.

— თავისთავად ცხადია. ეს რეგიონული მასშტაბის საკითხია და ამ რკინიგზის ამოქმედება პირველ რიგში სჭირდება სომხეთს, რომელიც ამჟამად ჩიხში იმყოფება და გასასვლელი არა აქვს. ამიტომ, ჩვენ შეგვიძლია ეს რესურსიც ჩვენი ქვეყნის სასიკეთოდ გამოვიყენოთ. მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, სტრატეგიული საკითხია ჩვენი ქვეყნის მთლიანობისა და აფხაზებთან ურთიერთობის აღდგენის გზაზე. თუ ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთე გვინდა, ეს რკინიგზა აუცილებლად უნდა გაიხსნას, რამდენად მომგებიანი, ან წამგებიანი იქნება, ეს უკვე მეორე რიგის ამოცანაა.

— თუ არსებობს რეალური სქემა ამ მონაკვეთის აღდგენისა?

— „საქართველოს რკინიგზაში" ჯერ კიდევ ინახება ნახაზები და სტატისტიკური მონაცემები, სადაც წერია, თუ რამდენი კაცი მუშაობდა სოხუმის სადგურში, ან ოჩამჩირისა და გაგრის სადგურებში. 2003 წელს, ქართული და რუსული მხარის მონაწილეობით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც დაიწყო მუშაობა წინასარეაბილიტაციო, მოსამზადებელ სამუშაოებზე: უნდა მომხდარიყო მთლიანი სარკინიგზო ხაზის დათვალიერება და იმის შესწავლა, თუ სად რა სამუშაოებია ჩასატარებელი, რომ რკინიგზას საშუალება მისცემოდა და ამუშავებულიყო. ამ ყველაფრის გაცოცხლება შეიძლება და ეს იქნება უზარზმაზარი გარღვევა კონფლიქტის მოგვარების გზაზე. თუკი ჩვენ მოვახერხებთ უსაფრთხოების დაცვას და, ამავე დროს, შევძლებთ, რომ ეს დერეფანი ამუშავდეს, ძალიან დიდ ნაბიჯს გადავდგამთ. მე სოხუმიდან ვარ და ეს ოცი წელი შურისძიებაზე კი არ მიფიქრია, ვფიქრობ იმაზე, რა დაგვემართა, რატომ დაგვემართა, როგორ შეიძლება ამის გამოსწორება და ყოველთვის ერთ დასკვნამდე მივდივარ.

— რა დასკვნამდე?

— რომ საბოლოოდ ყველაფერს მაინც ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობები განსაზღვრავს. ყველამ ვიცით, რომ ადმინისტრაციული საზღვარი ენგურთან გადის, მაგრამ ადამიანები ყოველდღე, ორ-ორი ჩანთით, ან ცხენის ურიკით გადადიან ენგურის ხიდზე, გადააქვთ სურსათი, ავეჯი, ათასგვარი პროდუქტი, ანუ გვინდა თუ არა, ეკონომიკური ურთიერთობა ენგურს გაღმა და გამოღმა მხარეებს შორის არ გაწყვეტილა. რკინიგზის ამოქმედებით უზარმაზარ პრობლემას მოვუხსნით ენგურს გაღმა და გამოღმა მცხოვრებ აფხაზებსაც და ქართველებსაც. თუ ამ პროცესების რეგულაციას მოვახერხებთ და ყველაფერი გამჭვირვალე გახდება, მაშინ იქ ჩრდილოვანი ეკონომიკაც აღარ იქნება საჭირო. თუ აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზა გაივლის და სომხეთიდან ამ მიმართულებით ტვირთები წავა, სატრანზიტო ღირებულების ნაწილი ხომ ჩვენთან დარჩება? — როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ ამ დერეფნის აღდგენა მარტო სომხეთს აძლევს ხელს? ეს არის კიდევ ერთი გზა, რომ ეკონომიკური ურთიერთობა გამოვიყენოთ პოლიტიკური და უბრალოდ, ადამიანური ურთიერთობების აღსადგენად. ფაქტია, რომ ეს სატრანსპორტო დერეფანი არსებობს, პროცესში ჩართულია ნეიტრალური მხარე, კერძოდ, შვეიცარია და ჩვენც უნდა გამოვიყენოთ ეს რესურსი. მით უმეტეს, რკინიგზა უფრო ადვილი გასაკონტროლებელია, ვიდრე ჩვეულებრივი, საგზაო მონაკვეთი.

აფხაზები დიალოგისთვის ყოველთვის მზად არიან. მთავარია, სწორად მიუდგე და ურთიერთობა მოახერხო. როგორ ახერხებდა ამას ირაკლი ალასანია, როდესაც მინისტრი იყო? ერთხანს გოგა ხაინდრავა იყო მინისტრი და მაშინაც შედგა სპეციალური პროტოკოლი, რომლის ძალითაც სოხუმსა და თბილისს შორის ეკონომიკური ურთიერთობები უნდა დაწყებულიყო. სამწუხაროა, რომ ქართული სახელმწიფო ეკონომიკურ ბერკეტებს ისე ვერ იყენებს, როგორც საჭიროა. აფხაზეთი დღეს ფინანსდება რუსული ფულით, მათ აქვთ რუსული პასპორტები და სერიოზულ საპენსიო თანხას იღებენ რუსეთიდან. ასე რომ, აფხაზები თავიდან ბოლომდე მიბმულნი არიან რუსეთზე. ცუდი იქნება ამ დერეფნიდან სატრანზიტო შემოსავალი რაც იქნება, აფხაზეთს დარჩეს და მოხმარდეს? მათ რუსული ფულის გარდა, დამატებით თავისი შემოსავალიც გაუჩნდებათ, რატომ არ უნდა წავიდნენ ამაზე აფხაზები? თუ ეკონომიკური ურთიერთოებები არ აღდგა და ადამიანებს შორის ყინული არ გალღვა, ისე არაფერი გამოვა და კვლავ იმ წრეზე ვიტრიალებთ, რომელზეც ამდენი წელია, ვტრიალებთ. ჩემი თვალთახედვა ასეთია: თუკი აფხაზეთის რკინიგზა არ აღდგება, ჩვენ ხელოვნურად ჩავკეტავთ ადმინისტრაციულ საზღვარს და გავწყვეტთ აფხაზებთან ურთიერთობას. ახლა მკითხველმა განსაჯოს, რა უფრო მნიშვნელოვანია — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, თუ წამგებიანი იქნება ჩვენთვის რკინიგზის ეს მონაკვეთი თუ — მომგებიანი?

ხათუნა ჩიგოგიძე

◎ თანამოქალაქეებს მოვუწოდებ...

მოვა დრო და იამაყებთ არჩევნით!

როგორც იყო, ძირითადად, ჩაიარა ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არჩევნებმა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩემი და მრავალი თბილისელის გარეშე, რომლებმაც დავიზარეთ და საარჩევნო უბნებს არ გავეკარეთ. ვიფიქრე, როგორც უწინ არაერთხელ მომხდარა, ახლაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ადვილად მოძებნიან ისეთ პირს, რომელიც თბილისის მერის ეგზომ სასურველ სავარძელს თავგადაკლული ჩააფრინდება-მეთქი.

სამოცდაათ წელს მიღწეული გახლავართ და, ბუნებრივია, სიცოცხლეში ბევრი კარგი საქმე მიკეთებია, მაგრამ შეცდომაც ხშირად მომსვლია. ამიტომ ცხოვრების ფინიშთან მიახლოების კვალობაზე უფლის სავანეში — ეკლესიაში სიარულს მოვუხშირე შენდობისა და მიტევების იმედად. ამას წინათ სამების ტაძარში მიმავალმა მეტროს ვაგონში მერობის ერთ-ერთი კანდიდატი შევნიშნე. ვიფიქრე, ნამდვილად საკუთარ პიარსა და იმიჯზე ზრუნვითაა გუშინდელი ნამინისტრალი და მერობის ერთ-ერთი სავარაუდო კანდიდატი ჩვეულებრივი მოკვდავივით აქ ჩვენ გვერდით რომ იჭყლიტება-მეთქი, მაგრამ მეტროს სადგურიდან გამოსვლისას სულ ტყუილად ვიღლიდი თვალებს და უშედეგოდ ვეძებდი ჩინოსნებისათვის ასე დამახასიათებელი ჯიპების ესკორტს. სრულიად უბრალოდ, რიგითი მოქალაქეების მსგავსად, ის სამების ტაძრისკენ მიმავალი მანქანებისგან საშინლად გადატვირთულ, მტვრიან და ვიწრო მესხიშვილის ქუჩას გაუყვა.

ეკლესიის ფართო, დიდებული დარბაზი სიჩუმეს მოეცვა, სანთლებით ხელში ჩვეულ ადგილს, მაცხოვრის ხატს მივუახლოვდი. გული დამწყდა, როცა მის წინ ადგილი უკვე დაკავებული დამხვდა. მერობის კანდიდატი მუხლებზე მდგომი, ხელში ვეება კანდელით, თავჩაღუნული ლოცვებს ამბობდა. როგორც უცხო ადამიანის წერილების კითხვა მიმაჩნია უზრდელობად, ასევე ლამაზად არ მესახება მორწმუნის ზურგს უკან დგომა და მისი ღაღადისის მოსმენა. ცოდვას გავამხელ, მხოლოდ ორად-ორ ფრაზას მოვკარი ყური, კანდიდატი უფალს თავისი ქვეყნის უკეთეს მომავალსა და ბედნიერებას შესთხოვდა.

სანამ ავლაბრის მეტროს სადგურამდე ჩამოვაღწევდით, დამეგობრებაც მოვასწარით. შევეცდები, ჩემი გადასახედიდან, ყოველგვარი ზიზილ-პიპილების გარეშე გაგაცნოთ ერთი უბრალო ახალგაზრდა მამაკაცი დავით ნარმანია, რომელიც დიდი ყოყმანის შემდეგ დათანხმდა, ეკისრა მეტად რთული, საპასუხისმგებლო მისია და მონაწილეობა მიეღო ქალაქის მერის არჩევნებში.

შეგახსენებთ, ცივილიზებულ სამყაროში, რომლისკენაც მიილტვის ჩვენი ქვეყანა, ყველაზე მეტად ფასობს ის ადამიანი, რომელიც კარიერულ წინსვლას აღწევს მხოლოდ საკუთარი ცოდნისა და კვალიფიკაციის ხარჯზე. ადამიანი, რომელიც იზრდება რიგით ქართულ ოჯახში, რომელშიც არამი, დაყვედრებული ლუკმა ვერ გაიჭაჭანებდა, სადაც პრაქტიკულად ყოველი შემოსული თეთრი წინასწარ აღნუსხული და განაწილებული ჰქონდათ. მამა მშრომელი, ხელმომჭირნე გლეხი, დედა პედაგოგი, სოფლის ინტელიგენციის წარმომადგენელი. ორივე ერთად კი, რა თქმა უნდა, საკუთარი მაგალითით, შესანიშნავი აღმზრდელი, დამრიგებელი. მერე რა ვუყოთ, ყოველთვის არ ჰქონდა ძვირფასი უცხოური ჩასაცმელი და ან თანამედროვე საყოფაცხოვრებო ტექნიკა. სამაგიეროდ, იყო თავდადებული შრომა და დაჟინებული წინსვლა წარმატებებისკენ.

ამჟამად მისით მთელი სამეგრელო ამაყობს, ხოლო რესპუბლიკა მისგან ახალ გამარჯვებებს მოელის. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, რამდენიმე წიგნისა და შრომის ავტორი, რომელსაც კარიერის ყველა საფეხური კეთილსინდისიერად და უმაღლესი შეფასებებით აქვს გავლილი, საქმის მცოდნე, მაღალკვალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბდა, რომლის აზრსაც არა მარტო ჩვენ რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთ, მრავალ სახელოვან პრესტიჟულ უნივერსიტეტში უწევენ ანგარიშს. თავმდაბალი, სიტყვაძუნწი, დაფიქრებული, ზერელე ლაპარაკის საშინელი მოძულე, ზედმიწევნით ქრისტიანი და ეკლესიური. მცირე ასაკიდანვე თვალში საცემად გულჩვილი, რომელსაც არაფრად ულირდა მშობლების მიერ პურის საყიდლად გამოტანებული ფული მათხოვრებისათვის დაერიგებინა.

მე პირადად, ყოველგვარი გაზვიადების გარეშე დათო ნარმანია ქართველი მამაკაცის იდეალად და სამაგალითო ეტალონად მიმაჩნია. ამ ფონზე შეურაცხმყოფლად ჟღერს ერთ-ერთი ვიგინდარა ყოფილი თანამდებობის პირის ღვარძლიანი „შედარება", დავითს პონს რომ ადარებს, რაშიც პრინციპში საწყენს ვერ ვხედავ, რადგან პონი, ეს უწყინარი არსება თავის ხვედრ ლუკმას პატიოსანი შრომით გამოიმუშავებს და გაუმაძღარი ღორივით სახელმწიფოს არ აახევს მრავალ მილიონს გაურკვეველი მიზნების განხორციელებისთვის.

დაე, იყოს მეორე ტური! მე ჩემს თანაქალაქელებს მოვუწოდებ: არაფრის დიდებით არგამოიკეტონ სახლებში, ნუ მიანდობენ თავიანთ გასაკეთებელ საქმეს სხვას, მოიშორონ დანაშაულებრივი ინერტულობა და ხმა მისცენ ისეთ კანდიდატს, რომელიც ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით მათთვის თავგადადებული იქნება. ენდეთ ხნიერი კაცის სიტყვას, აუცილებლად მოვა დრო, როცა თქვენ იამაყებთ საკუთარი არჩევნით!

ჯემალ ნოზაძე

როდესაც გამკითხავი არავინაა, ყველაფერია შესაძლებელი

უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ჩასულმა სააკაშვილმა ჭეშმარიტი მამულიშვილური გრძნობა გამოავლინა ტელეჟურნალისტისთვის მიცემულ ინტერვიუში – განაცხადა, რომ მზად არის, საქართველოს გაუწიოს შუამდგომლობა და დახმარება საერთაშორისო არენაზე. მან ისიც თქვა, რომ ყველანი საქართველოს შვილები ვართ და ქვეყნისთვის სასარგებლოდ უნდა მოვიქცეთ.

დაახლოებით ასეთი იყო მისი „პატრიოტიზმით“ აღსავსე განცხადების შინაარსი – უკრაინის საპატიო დოქტორის მანტიაში გამოწყობილის.

ნაპრეზიდენტალის განცხადებამ უმალ წარმოშვა კითხვა – მაინც რა დახმარების გაწევა შეუძლია მას მინიმუმ ცხრა სხვადასხვა დანაშაულში (ეს, რაც ამ ეტაპზე დაადგინა პროკურატურამ) ეჭვმიტანილს და სამშობლოდან გადახვეწილს, ანუ მართლმსაჯულებისგან თავის დაღწევის მიზნით ამერიკაში დარჩენილს?

ნაპრეზიდენტალის განცხადებას დღევანდელი ხელისუფლება რომ უარყოფითად მიიღებდა, ცხადია. ისიც ცხადია, რომ სააკაშვილმა იცოდა ამის შესახებ, მაგრამ მაინც თქვა – ვარაუდით, იქნებ გული მოვულბოო.

სააკაშვილის ნათქვამი მიმდინარე ეტაპს ნაკლებად ეხება, ის მეტადრე მომავალზეა გათვლილი. ვინ იცის, რა მოხდება ხვალ ან ზეგ და გადახვეწილი პრეზიდენტის შუამდგომლობა კი არა, მასთან დალაპარაკებაც სანატრელი გახდეს.

ამ ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი, მათ შორის დღევანდელი უარყოფითი პოზიციის, ჯერ ნაკლებად უარყოფითზე შეცვლა, ხოლო შემდეგ დადებითად გადაკეთება. ამათგან რა მიდის? იტყვიან, დღეს ასეა საჭირო, ამას გვიკარნახებს „სტრატეგიული პარტნიორიო“ და შეეკამათები?

დღეს, რა, ეკამათები პრემიერს, როდესაც დაბეჯითებით გვაწვება, რაც დაგპირდით, ყველაფერი შეგისრულეთო?

ამას წინათ, „პოლიტიკაში“ „ჩახედულმა“ „სტაიანშიკმა“, ნაცთა დაუძინებელმა მტერმა, გულახდილად მითხრა, ამათი ქცევის გამო, ხალხმა ყველა პარტიის მიმართ დაკარგა ნდობაო. გუშინდელთა ღორმუცელობის ამბავი ხომ ვიცოდით, მაგრამ არც დღევანდელები ჩამორჩებიან სიღორეშიო, თორემ გაჭირვებული ხალხის ფონზე, ვინ იკადრებდა დიდი ხელფასების, ხელფასებზე დანამატების და პრემიების მიღებას. თან იმას გვაყვედრიან, ვმუშაობთ და შესაბამის ანაზღაურებასაც ვიღებთო, მაშინ, როდესაც ჩვენთვის, მცირეხელფასიან სამუშაო ადგილებსაც არავინ იმეტებსო.

„სტაიანშიკი“ სიბრაზეს ვერ მალავდა არასაპარლამენტო პარტიების ხელფასების გამო – ვინ აძლევთ მათ ამდენ ფულს, რომ შარტავამ, ვეფხვაძემ, ძიძიგურმა, სხვებმა 20 000, 30 000, 40 000, და ა.შ. ხელფასები გამოიწერონო? ხალხმა ხელი ჩაიქნია, იმედი დაკარგა და ამბობს – ჩვენსას არავინ ისმენს, ქვეყანას ძარცვავენ და პასუხს არავის სთხოვენ, თავშიც ქვა უხლიათო.

მართლაცდა, რომ იტყვიან, სამართალმა არ ჭამა პური და არ ჭამა იმიტომ, რომ არც „ოცნებას“ და არც დასავლეთზე ჩამოკიდებულ ქართულ პოლიტიკას არამც და არამც არ აწყობთ სააკაშვილისა და ნაცების პასუხისგებაში მიცემა, სხვადასხვა მიზეზის გამო. უპირველესად იმიტომ, რომ ნაცები აშშ-ის გამოზრდილია, მისი პოლიტიკის გამტარებელია საქართველოში; ასევე უპირველესად, სწორედ, ნაცთა მმართველობის დროს გაიფურჩქნა ელიტური კორუფცია, ანუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფულის „უპრაგონო“ ხარჯვა. სააკაშვილი, როგორც დათვი, ისე ჰყოფდა თაფლში ტორს და იღებდა, არა მარტო საკუთარის, არამედ გავლენიანი დასავლელი პოლიტიკოსების ორგანიზმების გასალაღებლად.

მილიონობით ლარს ფლანგავდა სააკაშვილი და ნაცთა ყველა ლიდერი, საშუალო თუ დაბალი რგოლის წარმომადგენელი. ამას წინათ გაზეთი „ვერსია“ გვაუწყებდა სახელმწიფო აუდიტის მიერ გამოვლენილ დანაშაულზე, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში.

ყოფილმა მინისტრმა, ბარამიძემ საკუთარი ბრძანებით, კანონდარღვევით, გამოიწერა პრემიები, მივლინებები მთელ რიგ ქვეყნებში. იქ, სპა-სალონებსა და გამაჯანსაღებელ ცენტრებში მასაჟებისთვის. 2011-2012 წლების საანგარიშო პერიოდში, აპარატმა „მივლინების“ ქვემუხლით 988 200 ლარი დახარჯა.

და ეს მარტო ერთ სამინისტროში. სააკაშვილის სამივლინებო ხარჯების უნამუსობას ხომ საზღვარი არ ჰქონდა.

რაც მართალია, სამივლინებო მიდი-მოდიში ფულის ხარჯვას არც „ოცნება“ ერიდება, პირიქით. პრესაში გამოქვეყნებული, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში გაცემული პრემიების ამბავი, ღორობის და ქვეყნისადმი აგდებული დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითია.

დღევანდელი სახელმწიფო მოხელე არ ერიდება ძვირადღირებულ მივლინებებში სისტემატურ მგზავრობას, თანაც კომფორტულად, პირველი კლასით, ხუთვარსკვლავიანი სასტუმროებით და ა.შ. თან ყოველგვარი სერიოზული დასაბუთების გარეშე თუ რამდენად საჭიროა ასეთი მივლინება ქვეყნისთვის.

აჭარის წარმომადგენლობაში მუშაობის დროს, რჩევისთვის მომმართა ისრაელის საელჩოს დიპლომატმა, რომელსაც სურდა ბათუმში გამგზავრება. მან მკითხა, რამდენად იყო შესაძლებელი მატარებლით მგზავრობა. ჩემს რჩევაზე, რომ ავტომანქანით წასულიყო, მიპასუხა - ძვირი დაჯდება ავტომანქანით მგზავრობა, საელჩოს ამის თანხები არ აქვსო. და ეს ისრაელის, მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული ქვეყნის საელჩოს.

წარუმატებელი, არშემდგარი საქართველო კი მილიონებს ხარჯავდა და ხარჯავს არამიზნობრივ მივლინებებში. უფრო მეტიც, წინა ხელისუფლება ენერგიას და, რაც მთავარია, ფულს არ ზოგავდა უცხოეთში საქართველოს „საპიაროდ“. ამ მიზნით მილიონობით დოლარია დახარჯული ამერიკული ლობისტური ფირმების, პოლიტიკოსების, მედიის მოსახიბლად.

პრესის მიხედვით, შვედეთის ერთ-ერთ ფირმას, რომელსაც ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი კარლ ბილდტი ხელმძღვანელობდა, გაწეული მუშაობისთვის რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი ჩაურიცხა ნაცურმა ხელისუფლებამ. ბილდტიც არ ივიწყებს მის პატივისცემას და საჭირო არის თუ არა, მზადაა, „ამბრაზურასავით“ გადაეფაროს ნაცთათვის ნასროლ სიტყვას.

და როდესაც ამგვარ „ხელი-ხელს ბანს – ორივე პირსო“ კავშირებთან გვაქვს საქმე, სულაც არ არის გასაკვირი დასავლელ პოლიტიკოსთა მხრიდან ნაცთა უკიდეგანო დახმარება და მფარველობა.

ქართული პოლიტიკის, დასავლელთა მხარდაჭერით უზრუნველყოფილი სარეზერვო „ნაცები“ სამომავლო მმართველობისთვის რომ ემზადებიან, ფაქტია. ისიც ფაქტია, რომ დასავლეთი, კერძოდ აშშ, ძალას არ დაიშურებს მათი აღორძინებისთვის.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ აშშ-ის სწორედაც არაკეთილსინდისიერმა მიდგომამ საქართველოსადმი, რაც კორუმპირებული, გახრწნილი ნაცების მხარდაჭერაში, მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებზე თვალის დახუჭვაში გამოიხატა, აუცრუა გული საქართველოში მცხოვრებთა უდიდეს უმრავლესობას მისდამი.

ამერიკელები რომ გულისხმიერები ყოფილიყვნენ ქართველთა დიდი ნაწილის კანონიერი მოთხოვნებისადმი, ნაცთათვის თავზე ხელის გადასმის ნაცვლად, მკაცრად მოეთხოვათ მათთვის კანონიერებისა და წესრიგის დაცვა, ამერიკის ბიუჯეტიდან საქართველოსთვის გამოყოფილი თანხები გაეკონტროლებინათ და ნაცთათვის ამ თანხების მითვისების, საშუალება არ მიეცათ, სააკაშვილისა და მისი გუნდისთვის უსაგნო (ცხადია ქვეყნისთვის) მივლინებებში ხეტიალი აეკრძალათ, არ დაეშვათ ხელისუფალთა გაზრდილი ხელფასები, დანამატები და პრემიები, არ დაეშვათ ნაცთა პერმანენტული პროვოკაციები რუსეთის მიმართ, რასაც საბოლოო ჯამში ცხინვალის ომი მოჰყვა, არ დაეშვათ ფულის გათეთრება უაზრო მშენებლობებსა და სხვა ღონისძიებებში – ამერიკა ქართველი ხალხის ნამდვილი მეგობარი იქნებოდა.

დღეს, აშშ არანაკლებ მიუღებელია ქვეყნისთვის, როგორც სააკაშვილი და ნაცები. მაგრამ აწუხებს ეს დიდ ქვეყანას? არამც და არამც, ვინაიდან მას ჰყავს მეგობრები ძველი და ახალი ხელისუფლების სახით და ხალხთან მეგობრობა არ სჭირდება. ხალხი უბრალო „გარნირია“ კერძისა, რომელსაც ხელისუფლება ჰქვია.

და მართლაც, ისეთი რომ ყოფილიყო ამერიკა ქართველი ხალხისთვის, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გაიხედავდა ის ჩრდილოეთისკენ? ალბათ, არა.

ამერიკელთა უსამართლობამ, უარყოფითმა საქციელმა აიძულა საქართველო, ხინჯი გასჩენოდა მის მიმართ. ამერიკა ის ქვეყანა არ არის, საქართველოს მსგავსი ქვეყნების მოსაზრება გაიზიაროს. საქართველოს მსგავსს კი არა, დიდი ქვეყნების აზრსაც არ იზიარებს, რაც საბოლოო ჯამში წირვას გამოუყვანს ამ ქვეყანას.

ამერიკის პოლიტიკა ტრიალებს უკიდურეს პრაგმატიზმზე და იმაზე, როგორ გამოგიყენოს, გიხმაროს, გაგაკეთებინოს ის საქმე, რაც მას სურს. ამისთვის მას დამჯერი ხელისუფლება სჭირდება. მთავარია, იყო დამჯერი და მნიშვნელობა არა აქვს, ხარ თუ არა კორუმპირებული, კაციჭამია დიქტატორი (იდი ამინი მყავს მხედველობაში), საკუთარი ხალხის მწამებელი. ამ პრინციპით არჩევს ვაშინგტონი ამა თუ იმ ქვეყნის მეთაურს, ისეთებს, როგორებიცაა კოსოვოს პრემიერი ჰაშიმ ტაჩი, უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო, სხვა უკრაინელი ლიდერები, ფაშიზმშეპარულები. ამ პრინციპითაა შერჩეული სააკაშვილი და ა.შ.

და მაინც, რა დახმარება შეიძლება გაუწიოს სააკაშვილმა საქართველოს? უპირველესად, მოპარული ფულის დაბრუნება და ამ მოწოდებით ყველა ნაცისთვის მიმართვა. საქართველოში ჩამოსვლა და პირდაპირ, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე, ციხეში წასვლა, ნებაყოფლობით ჩასაჯდომად. მოწოდება ყველა ნაცისთვის, გვერდში მიუსხდნენ.

სააკაშვილმა უკეთ იცის, რა დანაშაულები აქვს ჩადენილი, ამდენად მას არ გაუჭირდება საკუთარი თავისთვის განაჩენის გამოტანა: მოხუცებულობაში, სასჯელის მოხდის შემდეგ, ბერად აღკვეცა, ცხადია, თუ ეკლესია მიიღებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ნალაპარაკი უბრალო ბოდვაა და მეტი არაფერი.

და რახან ეს ასეა, სააკაშვილს უფლება აქვს, თქვას ყველაფერი, რაც ავადმყოფ თავში მოუვა, უფრო მეტიც, აკეთოს ყველაფერი, რაც ქვეყანას დააზიანებს. როდესაც გამკითხავი არავინაა, ყველაფერია შესაძლებელი.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

◎ კაკალ გულში

ნერტილოვანი ფრაზები

● **გავა წლები, საუკუნეები და ..... უმტკიცეს მერე სომეხ ისტორიკოსებს, საქართველო უფრო ადრე ასოციირდაო.**

● **მანახე, ვინ გელოდება გარეთ, როცა დასაკითხად ხარ შესული და გეტყვი, ვინ ხარ შენ.**

● **სარკოზი „მასტერას“ დაკავების გადასაფარად დაიჭირეს?**

● **გიგის ვერ იჭერენ, სლიპინაა და სხლტება.**

● **ჩვენ სხვა ქვეყნებს ნუ ვედრებით. ცალკეული ძველი ევროპული ქვეყნები მხოლოდ მისაღები კი არა, შეიძლება საოცნებოც იყოს ჩვენი ქვეყნისთვის, თუნდაც თავისი ცხოვრების წესით, მაგრამ როდესაც საქართველო შედის კავშირში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე არასრულფასოვანი ასოციირებული წევრი და ქვეყნის ხელისუფლება არანაირ საკუთარ პირობებს არ აყენებს, უნდა დაისვას საკითხი, – თუ ჩვენ არ მოგვეცა ისეთი პირობების წაყენების საშუალება, როგორიც, მაგალითად, საფრანგეთს აქვს, რატომ დავთანხმდით ამ ხელმოწერას? თუ ამის საშუალება გვქონდა და ხელისუფლებამ არ გამოიყენა, მაშინ მოტივებია დასადგენი. ნებისმერ შემთხვევაში, საქართველო იმყოფება ყველაზე უმწეო მდგომარეობაში, თუნდაც როგორც ასოციირებული წევრი, ჩვენი ხელისუფლება სხვაზე მეტი ვალდებულებების აღებას ცდილობს. ჩვენ ხომ ყველაფერში „სანიმუშო“ უნდა ვიყოთ, როცა რაღაც ნაბიჯს გადავდგამთ! ასე არ არის, როცა ჩვენს ჯარისკაცებს უცხო ქვეყნებში ვაგზავნით? ამ მხრივ, პროცენტულად საქართველო პირველ ადგილზე დგას და აშშ-ის სტრატეგიულ პარტნიორს, ბრიტანეთს უთანაბრდება.**

● **მიდით ბიჭებო, მისცხეთ, ისედაც ცოტანი ვართ ევროპელები!**

● **არგენტინის თამაშზე ფეისბუკში პოსტვისთვის, რომ მოიცლი კაცი, ის თამაში...**

● **შემოვედი ფეისბუკზე თუ არა, ყველა პოსტი სარკოზის დაკავებაზე და ამ ფაქტთან დაკავშირებით ქართველების აღფრთოვანებას ეხება. ნუ გადამრიეთ, ქართველებო. ამ კაცს ყველაზე მეტი დამსახურება მიუძღვის იმაში, რომ ჩვენ მიერ 8ნ პროცენტით არჩეული დეგენერატის გაჩაღებულ ომში, რაც შეიძლება ნაკლები ქართველი დაღუპულიყო. რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში კაცი ცაში იყო გამოკიდული ევროპას, თბილისს და მოსკოვს შორის, რომ ქართველი ჯარისკაცების და მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა შეეჩერებინა. ჩვენთვის სარკოზის კარგის გაკეთების გარდა არაფერი დაუშავებია. მოდით რა, ნუ გადავიქცევით ბოღმიან კაცუნებად. უმადურობა საშინელებაა.**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

განხორციელებული პროექტების ეფექტი

„წლეულს საქართველოში დაახლოებით 230 ათასი ჰექტარი სავარგული დამუშავდება“

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი ფინალურ ფაზაში შევიდა. პროექტის ფარგლებში, სახელმწიფოსგან სხვადასხვა სახის დახმარებას 757 000 ბენეფიციარი მიიღებს. აქტიურად გრძელდება შელავათიანი აგროკრედიტის და გადამმუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, რომელიც დაბალი ეკონომიკური აქტივობის მქონე რაიონების განვითარებას გულისხმობს. ცოტა ხნის წინათ კი ძალაში შევიდა მთავრობის ახალი პროექტი — „აწარმოე საქართველოში“, რომელიც სოფლის მეურნეობის ნაწილში მეწარმეებს ბევრ საინტერესო შელავათს სთავაზობს.

გიორგი ჩხეიძე, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი: ამ ეტაპზე უკვე შეგვიძლია, შევაჯამოთ სოფლის მეურნეობაში მიმდინარე რამდენიმე პროექტი და ის შედეგები, რომელიც ამ პროექტების განხორციელებით მივიღეთ.

მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის საგაზაფხულო პროექტში, დაახლოებით 750 ათასი ბენეფიციარი მონაწილეობდა. ჯერ კიდევ გრძელდება აგრობარათების დარიგების პროცესი, რაც ამ პროექტის სიახლეა. ბენეფიციარებს ასევე გადაეცათ ხვნის ბარათები, რომელთა დიდი ნაწილი უკვე ათვისებულია. დღეისათვის დაახლოებით 110 ათასი ჰექტარი მიწაა მოხნული „შპს მექანიზატორის“ და ჩვენი კონტრაქტორი კომპანიების მიერ. ამას ემატება დაახლოებით 85 ათასი ჰექტარი, რომელიც ჩვენმა ბენეფიციარებმა საკუთარი ძალებით დაამუშავეს შემოდგომით ან ადრეულ გაზაფხულზე, სანამ საგაზაფხულო პროექტი ძალაში შევიდოდა. თუმცა, მათ მიერ გაწეული სამუშაოების კომპენსირება სახელმწიფოს მხრიდან აუცილებლად მოხდება. მაგალითად, ასეთი ბენეფიციარების ნაწილმა პროექტის ფარგლებში მიღებული ხვნის ბარათები შეინახეს საშემოდგომო სამუშაოებისთვის და მათი გამოყენება მოხდება მიმდინარე წლის ნოემბრამდე, მას შემდეგ, რაც ფართობებზე საგაზაფხულო კულტურას აიღებენ. ჩვენც მზად ვართ, რომ შპს „მექანიზატორის“ საშუალებით ეს სავარგულები შემოდგომაზე დავუმუშავოთ. ჩვენი პროგნოზით, დაახლოებით 20 ათასი ჰექტარი მიწა პროგრამის ფარგლებში კიდევ შემოდგომით მოიხვნება. შესაბამისად, ველოდებით, რომ საერთო ჯამში წელს საქართველოში დაახლოებით 230 ათასი ჰექტარი სავარგული დამუშავდება, რაც გასული წლის მაჩვენებელზე მეტია.

გასულ წელთან შედარებით პროგრამის ბენეფიციარების რაოდენობაც გაიზარდა და ბუნებრივია, მათ მფლობელობაში არსებული ფართობებიც უფრო მეტია. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ვეცადეთ და გასულ წელს ოთხჯერ მოხდა პროგრამის მონაწილეთა სიების დაზუსტება, მაინც იყო შემთხვევები, როცა ფერმერთა ნაწილი ბენეფიციართა ნუსხაში ვერ მოხვდა. აღსანიშნავია ისიც, რომ წელს პროექტი თბილისსა და რამდენიმე დიდი ქალაქის მიმდებარე სოფლებზეც გავრცელდა, რამაც ასევე გაზარდა დასამუშავებელი მიწის ფართობი.

— თუ ბენეფიციარს შეუძლია ხვნის ბარათი ნოემბრამდე გამოიყენოს, აგრობარათებით სარგებლობის ვადა როდის იწურება?

— აგრობარათების მოქმედების ვადა აგვისტოს ბოლომდე გრძელდება და შესაბამისად, გრძელდება აგრობარათების გაცემის პროცესიც. აღნიშნული ბარათების დაახლოებით 80% უკვე გაცემულია და ამ დრომდე, დღეში საშუალოდ 2000-2500 ბარათის გაცემა ხდება. წინასწარი მონაცემებით, ფერმერები აგრობარათებზე დარიცხული ქულებით იძენენ სასუქს, მცენარეთა დაცვის საშუალებებს და სათესლე მასალას.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ წელს უკეთესად იყო ორგანიზებული მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი — გასული წლის გამოცდილებაც გავითვალისწინეთ, ტექნიკაც მეტი გვქონდა და ყველა სამუშაოს შესრულება აგროვადებში გახდა შესაძლებელი. მართალია, წელს უფრო მეტად შეგვიშალა ხელი უამინდობამ, მაგრამ ტექნიკური საშუალებების გაზრდილი რაოდენობის დამსახურებით ყველა პროცესი აგროვადებში მოესწრო. პროექტის მიმდინარეობისას არც განსაკუთრებულ ხარვეზებს ჰქონია ადგილი. გახსოვთ ალბათ, გასულ წელს იყო აგრობარათის გაყიდვის შემთხვევები, რასაც კანონდამრღვევთა დაკავება მოჰყვა. წელს კი ბენეფიციარებს აგრობარათების სახით „ლიბერთი ბანკის“ პლასტიკური ბარათები გადაეცათ, რომელთა გაყიდვა და გასხვისება ფაქტობრივად, შეუძლებელია. საერთო ჯამში, აღნიშნული პროექტი შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს. ჩვენ რეგულარულად ვატარებთ პროექტის მონიტორინგს და შემიძლია გითხრათ, რომ დაცულია როგორც სასოფლო-სამეურნეო მასალების და ნედლეულის ასორტიმენტი, ასევე ზღვრული ფასები ამ პროდუქციაზე. გასული წლისგან განსხვავებით, წლეულს ჩვენ დეტალურად შევისწავლით პროექტით გათვალისწინებული ბენეფიტების ათვისების მაჩვენებლებს: სად რამდენი ფართობის დამუშავება მოხდა, რა კულტურები დაითესა და ა.შ.

— წელიწადზე მეტია, რაც თქვენი სააგენტო შელავათიანი აგროკრედიტის პროექტს ახორციელებს, როგორია პროექტის შედეგები ამ ეტაპზე?

— ჩვენ ვაგრძელებთ შელავათიანი აგროკრედიტის პროექტს, რომელიც სამართლიანად მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ პროექტად. ამ ეტაპზე პროექტის ფარგლებში დაახლოებით 20 ათასი სესხის გაცემა მოხდა და ჯამში დღეისათვის საკრედიტო პორტფელი 320 მილიონ ლარს შეადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ სესხის დაუბრუნებლობის მაჩვენებელი ძალიან დაბალია, ფაქტობრივად, არ არის. მოგეხსენებათ, რომ მეწარმის მიერ სესხის არ დაბრუნების შემთხვევაში, ჩვენ ვუზრუნველყოფთ სესხის 30%-ის გაცემას ბანკებისთვის. ასეთია სახელმწიფოს გარანტია. შემიძლია გითხრათ, რომ ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთ სესხზე მოგვიწია უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.

გვაქვს მოლოდინი, რომ შელავათიანი აგროსესხების პროექტის პორტფელი წლის ბოლომდე კიდევ გაიზრდება და 400-450 მილიონ ლარს გადააჭარბებს. 80 ახალი საწარმო შეიქმნა ამ პროექტის ფარგლებში და ეს პროცესი კიდევ გაგრძელდება, რადგან დაფინანსებიდან საწარმოს შექმნამდე გარკვეული დროა საჭირო.

წლეულს ჩვენ დავიწყეთ კიდევ ერთი ახალი, გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, რომელიც საგრანტო კომპონენტსაც მოიცავს. მეწარმეების მხრიდან საკმაოდ ბევრი წინადადება შემოვიდა განსახილველად და საგრანტო კომიტეტზე უკვე გავიდა განსახილველად 8 პროექტი, საიდანაც 5 დამტკიცდა, რომელთა დაფინანსებას ვიწყებთ.

ამ ხუთი პროექტიდან ორი ხილის გადამამუშავებელი საწარმოა, რომლებიც გაიხსნება გურიაში და ერთი ხილის გადამამუშავებელი საწარმო აჭარაში. ასევე გრანტების გაცემა მოხდება ორი თხილის ქარხნის გასახსნელად სამეგრელოში. ამ პროექტის ფარგლებში მხოლოდ ახალი საწარმოების დაფინანსება მოხდება. ჩვენი მიზანია, რომ ყველა რაიონში თითო ახალი გადამამუშავებელი საწარმო შევქმნათ, რომელიც ბიძგს მისცემს ამ რაიონში პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებას. იმ პროექტებს შორის, რომელთა დამუშავება ამ ეტაპზე მიმდინარეობს, ჩაის რამდენიმე ფაბრიკის, ხილის, ციტრუსის და კენკრის გადამამუშავებული საწარმოს პროექტია. არის ასევე თხილის გადამამუშავებელი და ცხოველის საკვების წარმოების პროექტები. ყოველ დაფინანსებულ საწარმოზე შეიქმნება და შეთანხმდება საინვესტიციო, წარმოების გეგმა, რომლის განხორციელების ვალდებულება ექნებათ მეწარმეებს. გარდა ფინანსური დახმარებისა, რომელიც გულისხმობს გრანტს და კრედიტის პროცენტის დაფინანსებას, თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში, მეწარმეებს ტექნიკურ დახმარებასაც აღმოვუჩენთ. ეს შეიძლება იყოს მენეჯმენტი, აღრიცხვის სისტემები, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და სურსათის უვნებლობის და მართვის სისტემები.

— ახლახან ძალაში შევიდა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომლის ერთ-ერთი მიმართულება სოფლის მეურნეობაა...

— „აწარმოე საქართველოში“ გახლავთ საქართველოს მთავრობის და პირადად პრემიერ-მინისტრის ინიციატივა, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ახალი ინდუსტრიული და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების შექმნას. ეს პროექტი ხორციელდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად. პროექტი ორი ნაწილისგან შედგება. პროექტის ერთი მიმართულება გახლავთ ინდუსტრიული საწარმოები და დარგობრივი ნუსხა შედგა იმის მიხედვით, თუ როგორია საქართველოში ადგილობრივი წარმოების პოტენციალი და რა შეიძლება გავიტანოთ ექსპორტზე. პროექტის სასოფლო-სამეურნეო ნაწილში ასევე პრიორიტეტი ენიჭება ისეთი პროდუქტების წარმოებას, რომელსაც საექსპორტო პოტენციალი აქვს. „აწარმოე საქართველოში“-ს სასოფლო-სამეურნეო ნაწილი მიზნად ისახავს სასათბურე მეურნეობების, ინტენსიური ტიპის მეცხოველეობის და მეფრინველეობის ფერმების შექმნას, ასევე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას: ხილის, ბოსტნეულის, მარცვლეულის, თაფლის, ტყავის და ჩაის.

„აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში მოხდება შეღავათიანი აგროკრედიტის გაცემა ერთ პროექტზე 2 მილიონ დოლარამდე მოცულობით. დღემდე შეღავათიანი აგროკრედიტის ფარგლებში სესხის მაქსიმალური მოცულობა 600 ათასი დოლარით იყო განსაზღვრული. შესაბამისად, ახლა გაჩნდა უფრო მასშტაბური პროექტების და ფინანსების შესაძლებლობა. პროექტის დამტკიცებიდან პირველი ორი წლის განმავლობაში, სახელმწიფო მეწარმეს სესხის საპროცენტო განაკვეთის 10%-ს გადაუხდის და შესაბამისად, მეწარმეებს მოუწევს კრედიტზე 0-3%-ის გადახდა.

ამასთან ერთად საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ შეადგინა ნუსხა ინფრასტრუქტურული და საწარმოო ობიექტებისა, რომელიც დღეს გაჩერებულია და სახელმწიფო საკუთრებაშია. სახელმწიფო „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში სთავაზობს დაინტერესებულ პირებს, სიმბოლურ 1 ლარად გადაეცეთ საკუთრებაში ეს ობიექტები, თუ ინვესტიციის სახით ამ ობიექტის ღირებულების ოთხმაგ, ხოლო თბილისში ექვსმაგ ოდენობას ჩადებენ. პროექტის განხორციელება უკვე დაიწყო და რამდენიმე ობიექტის გადაცემის შესახებ სახელმწიფოს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია.

პროექტის ფარგლებში ბანკები აქტიურად განიხილავენ სასესხო განაცხადებს. ამასობაში ჩვენ არ ვჩერდებით და რეგიონებში ინტენსიურად ვმართავთ შეხვედრებს და დაინტერესებულ პირებს პროექტის დეტალებს ვაცნობთ.

ემა ტუხიაშვილი

◎ ალიანჩალიანი

საყდრისი ერთ-ერთი უძველესი ოქროს საბადო და ქართული ისტორიის მნიშვნელოვანი ნაწილია

საყდრისი ყაჩაღიანის საბადოს საკითხთან დაკავშირებით თბილისში გერმანელი ექსპერტი თომას შტოლნერი ჩამოვიდა.

ექსპერტი საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მოწვევით იმყოფება. გერმანელი ექსპერტის თქმით, საყდრისი ერთ-ერთი უძველესი ოქროს საბადოა და ამ საკითხს უკვე რამდენიმე წელია იკვლევს.

— კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ მომიწვია იმისთვის, რომ საყდრისის ოქროს საბადოს საკითხი გადავჭრათ. ჩვენ მხოლოდ რჩევების მიცემა შეგვიძლია სააგენტოსთვის და სხვა სამთავრობო უწყებებისთვის. საყდრისს უკვე 10 წლის განმავლობაში ვსწავლობთ, ეს არის ერთ-ერთი უძველესი ოქროს საბადო და ქართული ისტორიის ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი. იქ არის ოქრო და ხალხს მისი მოპოვება კომერციული მიზნებისთვის უნდა, მეორე მხრივ კი, იქმნება კულტურული მემკვიდრეობის პრობლემა. ჩვენ გვინდა რაიმე გავაკეთოთ ამ ძეგლისთვის, — განაცხადა თომას შტოლნერმა.

მაშველებმა ფეხმოტეხილი ტურისტი ხეობიდან ამოიყვანეს

საბანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტში შევიდა შეტყობინება, რომ ლენტეხის რაიონში, სოფელ ტვიდთან კანადელ ტურისტს — 1984 წელს დაბადებულ ბერგ მათიუ ვეინს ჩანჩქერთან, კლდის ქიმზე ფეხი დაუცურდა და ხევში ჩავარდა. ფეხმოტეხილ ტურისტს სასწრაფოდ ესაჭიროებოდა დახმარება. საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის სამაშველო ჯგუფი შეტყობინების მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე ვერტმფრენით ჩავიდა. სამაშველო მომზადებისა და რეაგირების სამმართველოს თანამშრომლებმა პირველადი სამედიცინო დახმარება დაშავებულს ადგილზევე აღმოუჩინეს. მაშველებმა ბერგ მათიუ ვეინი ხევიდან საკაცით ამოიყვანეს და სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით ლენტეხში ჩაიყვანეს. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ იგი რაიონულ საავადმყოფოში გადაიყვანა.

ამ დროისათვის დაშავებული ტურისტის მდგომარეობა სტაბილურია.

ინტერპრესი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

სოხუმი საქართველოს ევროინტეგრაციაში საფრთხეს ხედავს

თბილისი მიიჩნევს, რომ ევროკავშირთან შეთანხმება დაეხმარება, გადაჭრას ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა

„დასავლეთის ამიერკავკასიის რეგიონში ნატოს ესკალაციის პოლიტიკის გააქტიურების გამო“ სოხუმი აცხადებს **„რუსეთის ფედერაციასთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობისა და სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობის გაზრდის“ შესაძლებლობის შესახებ.** ეს განცხადება აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააკეთა 27 ივნისს, საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ.

„...მართალია, თბილისისა და ბრიუსელის პარტნიორობის გაღრმავება არსებით და უშუალო ზემოქმედებას ვერ მოახდენს აფხაზეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ უსაფრთხოებაზე, დასავლეთის გეოპოლიტიკურმა ყოფნა ამიერკავკასიაში და აფხაზეთის სტრატეგიულმა მდგომარეობამ შეიძლება მოითხოვოს აფხაზეთისგან დამატებითი ძალისხმევა რუსეთის ფედერაციასთან სტრატეგიული პარტნიორობის განმტკიცებისა და გაღრმავების თვალსაზრისით“, — ნათქვამია აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს 30 ივნისის განცხადებაში.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირისაგან განსხვავებით, საქართველოს ნატოსთან დაახლოების პერსპექტივა სავსებით ნათელი არაა. ნატოს წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელების სხდომის შედეგად, რომელიც 25 ივნისს გაიმართა ბრიუსელში, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალურმა მდივანმა ანდერს ფოგ რასმუსენმა განაცხადა, რომ ნატო არ წარუდგენს საქართველოს მოქმედების გეგმას წევრობასთან დაკავშირებით ალიანსის სამიტზე სექტემბერში უელსში. ამავე დროს, რასმუსენმა აღნიშნა, რომ მაპის ნაცვლად ნატო დაამუშავებს „ზომების არსებით პაკეტს“ საქართველოსთვის ალიანსთან დაკავშირების შესახებ, თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, თუ კერძოდ, რა ზომებია გათვალისწინებული.

ევროპასთან დაახლოების პლუსები

ამავე დროს თბილისში მიიჩნევენ, რომ საქართველოს ევროინტეგრაცია და ამ პროცესთან დაკავშირებული უპირატესობანი შექმნიან ხელსაყრელ პირობებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადასაჭრელად. ბრიუსელში 27 ივნისს ევროკავშირთან შეთანხმების ხელმოწერის ცერემონიაზე საქართველოს პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა „უნიკალური შესაძლებლობის“ არსებობა „ჩვენი ძმებისა და დებისათვის“ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში — „ისარგებლონ იმ სიკეთით, რომელსაც უზრუნველყოფს ევროკავშირთან ასოციირება“.

ანალოგიური აზრი გამოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმაც.

„ეს გზა უნიკალურია ჩვენი მთავარი პრობლემის — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის თვალსაზრისით, ვინაიდან ჩვენ შევთავაზებთ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს სიკეთეს ევროკავშირთან ასოციირების შესახებ ხელშეკრულებით. ჩვენ შევთავაზებთ მათ ევროპული საქართველოს აშენებას. ამ ქვეყანაში დაცული იქნება და პატივი მიეგება ნებისმიერ ეთნიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ ჯგუფს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა 27 ივნისს თავის ვიდეომიმართვაში.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს რუსეთის გარდა აღიარებს მხოლოდ სამი სახელმწიფო — ვენესუელა, ნიკარაგუა და ნაურუ. მსოფლიოს ყველა დანარჩენი სახელმწიფოები ამ რეგიონებს საქართველოს ტერიტორიად მიიჩნევენ.

„მოსკოვის ხელია“?

საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ფონდის ხელმძღვანელი პროფესორი ალექსანდრე რონდელი დარწმუნებულია, რომ ოფიციალური სოხუმის ყველა განცხადება შეთანხმებულია რუსეთთან. უფრო მეტიც, პოლიტოლოგი არ გამორიცხავს, რომ აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება გაკეთდა მოსკოვის მითითებით — რათა კიდევ ერთხელ წარმოაჩინოს უარყოფითი რეაქცია საქართველოს ევროპულ და ატლანტიკურ მისწრაფებაზე, და რომ გვაგრძნობინოს: გამოყოფილი რეგიონების პრობლემა რჩება ბერკეტად თბილისზე ზემოქმედებისათვის. თუმცა, რონდელს ეჭვი ეპარება იმაში, რომ რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპაციის შემდეგ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხით „მანიპულირება“ შეიძლება აღმოჩნდეს შემაფერხებელი ფაქტორი საქართველოს ევროპული და ატლანტიკური მისწრაფებებისათვის.

ამერიკის ხმისათვის მიცემულ ინტერვიუში ექსპერტმა აღნიშნა ის „უშურველი მდგომარეობა“, რომელშიც ამჟამად აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი იმყოფებიან — როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. მისი სიტყვებით, სახეზეა რუსეთისგან სრული დამოკიდებულება, კორუფცია, მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ადამიანებისა და სტაგნაცია „პრაქტიკულად ყველა სფეროში“. ამავე დროს, როგორც დღეისთვისაც კი, საქართველოში ცხოვრების ხარისხი გაცილებით მაღლაა, ვიდრე გამოყოფილ რეგიონებში, ამბობს რონდელი. ევროკავშირთან დაახლოებისა და ევროკავშირის შესაძლო წევრობის შესაბამისად, მიაჩნია მას, საქართველო „რეალურად გახდება უფრო მიმზიდველი“ აფხაზებისა და ოსებისათვის.

„დარწმუნებული ვარ, რომ, ბოლოს და ბოლოს, აფხაზები და ოსები შეძლებენ, გამონახონ საერთო ენა ქართველებთან, ელემენტარულად წმინდა პრაგმატული მიზნებით. ისინი შეძლებენ, მოილაპარაკონ აღდგენის ფორმატის შესახებ, არ არის სავალდებულო, რომ ისინი იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკები, როგორც ადრე, არსებობს ბევრი სხვა ვარიანტიც, და რომელიმე აღმოჩნდება მისაღები ყველა მხარისათვის. რასაკვირველია, ეს მოხდება არა დღეს ან ხვალ, მაგრამ ევროპული, დემოკრატიული, სამართლიანი და წარმატებული საქართველო უსათუოდ იქნება უფრო მიმზიდველი, ვიდრე ის პერსპექტივები, რომელიც შეიძლება მათ შესთავაზოს მასმა დღევანდელმა კურსმა, — აღნიშნა ალექსანდრე რონდელმა ინტერვიუში.

რუსეთ-საქართველოს შეხვედრები

მოსკოვს ჯერჯერობით რეაგირება არ გაუკეთებია აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაზე წინადადებასთან დაკავშირებით — გაზარდოს სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა და სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობა. ამავე დროს რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ადრე უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის მიერ ევროკავშირთან ასოციირების შეთანხმების შესახებ. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთი მზადაა, განიხილოს მხარეთა ამ შეთახმებათა შედეგებიდან გამომდინარე საკითხები, მაგრამ ამავე დროს შეუძლია, მიიღოს „თავდაცის ზომებიც“ თავისი ეკონომიკისთვის, თუმცა, არ დაუზუსტებია, რა ზომები იქნება ეს.

დღეს ცნობილი გახდა, რომ საქართველო-რუსეთის დიალოგის ფორმატში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობათა მოწესრიგების საკითხში ზურაბ აბაშიძე 9 ივლისს პრაღაში შეხვდება რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს გრიგოლი კარასინს, რათა სხვა საკითხთან ერთად განიხილონ საქართველოს ევროკაშვირთან შეთანხმების გაფორმებაც. ამ საკითხს ასევე შეეხებიან 7 ივლისს რუსეთისა და საქართველოს ექსპერტებს შორის კონსულტაციის დროს ვაჭრობისა და ეკონომიკური ურთიერთობების საკითხთან ერთად, რომელიც ასევე პრაღაში გაიმართება.

„საექსპერტო შეხვედრა გარკვეული სიახლეა ინფორმაციული თვალსაზრისითაც. ვფიქრობ, ეს იქნება მეტად სასარგებლო შეხვედრა“, — განუცხადა ზურაბ აბაშიძემ 1 ივლისს საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ამავე რდოს ქართველმა დიპლომატმა განმარტა, რომ შეხვედრა იქნება საქმიანი, და, რომ „საქართველოს მხარე არ ელოდება ამ შეხვედრისგან რაიმე სენსაციებს“.

ევროკაშვირმა ასევე განცხადა, რომ მზადაა, ჩაერთოს სამმხრივ პოლიტიკურ კონსულტაციებში რუსეთთან, რათა განიხილოს შეთანხმება უკრაინასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამის შესახებ 25 ივნისს განაცხადა ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ. თავის მხრივ, საქართველოში ვიზიტად მყოფმა შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა 30 ივნისს პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ რუსეთ-საქართველოს კონსულტაციის შემთხვევაში ამ კონტექსტში პირადად იგი ვერ ხედავს აუცილებლობას ევროკავშირის წარმომადგენელთა მონაწილეობის შესახებ, „მაგრამ ეს დამოკიდებულია საქართველოზე“, — დაუმატა შვედმა მინისტრმა.

Voice of America

დედამიწის ზურგზე

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ომი გამოუცხადა მიკრობებს, რომლებიც გვემუძრებიან, „დაბრუნონ კაცობრიობა შუა საუკუნეებში“

სახიფათო ბაქტერიები ჩნდება იმუნიტეტისგან და წყვეტენ რეაგირებას წამლებზე, ახალი პრეპარატები კი, რომლებსაც შეუძლიათ ვირუსების დათრგუნვა, თითქმის არ იქმნება, განმარტა დევიდ კემერონმა. მან აგრეთვე ისაუბრა, რომ დიდ ბრიტანეთში იქმნება ექსპერტების საერთაშორისო ჯგუფი, რომელსაც დაევალა გადაარჩინოს კაცობრიობა.

* * *

ჰონკონგში საპროტესტო მრავალათასიანი მარშების დროს ხუთასზე მეტი კაცი დააკავეს

დემონსტრანტების გაუთავებელი ნაკადი, რომლებიც გამოდიან არჩევნების დემოკრატიზაციისათვის, მიმდინარეობდა 1 ივლისს მთელი დღის განმავლობაში. ორგანიზატორები იტყობინებიან, რომ მასში მონაწილეობა 510 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო. პოლიციის მონაცემებით, ერთდროული მაქსიმალური ოდენობა პროტესტის მონაწილეებისა შეადგენს 98,6 ათას კაცს, მაგრამ იქ აღიარებენ, რომ მონაწილეთა შემადგენლობა დღის განმავლობაში მუდმივად იცვლებოდა. 1 ივლისი — არის ჰონკონგის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტში გადაცემის წლისთავი.

* * *

უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს ათასი სეპარატისტის განადგურების შესახებ და განმარტეს, თუ რისთვის სჭირდება პუტინს ომი

მიტინგების მოწყობის ზონაში ჩავიდნენ მაშველი ჯარი — სპეციალური ქვედანაყოფი „კიევი 1“, გვარდიელების რეზერვი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, აგრეთვე ეროვნული გვარდია.

წინა დღეს ყველამ, ვინც მონაწილეობას ღებულობს ოპერაციაში, მიიღო საბრძოლო მოქმედებებში მონაწილის სტატუსი. ლუგანსკის აეროპორტი იქ მყოფ ძალოვანებთან ერთად დანაღმულია. სლავიანსკისა და კრამატორსკის მიმართულებით ისვრის არტილერია.

* * *

რუმინეთში შეშფოთებული არიან იმით, რომ ძვეძანას გარს შემოერტყნენ „პუტინის მეგობრები“

ჟურნალისტების აზრით, მათ სახელმწიფოს ძირითადად ერტყმის პრორუსულად განწყობილი ქვეყნები. ასეთ პირობებში რუმინეთი ხდება შავ ზღვაში დასავლური ინტერესების „მთავარი ფორპოსტი“ და ახლა ალტერნატივა არ გააჩნია შეერთებულ შტატებთან პარტნიორობის განმტკიცებას.

განცხადება აუქციონის შესახებ

2014 წლის 11 ივლისს, 11.00 საათზე, მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, საგამოფენო დარბაზში, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება ინდ. საწარმო გივი გოგოლაძის (ს/ნ 11001008265) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის რეალიზაცია:

- გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

ინდ. საწარმო გივი გოგოლაძის (ს/ნ 11001008265) საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი – მდებარე: რაიონი ბორჯომი, სოფელი რველი, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 414.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: 64.02.10.002, შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: 1) რესტორანი 425.8 კვ.მ., 2) კაფე 40 კვ.მ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: **64.22.04.032**;

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 46,362.00 (ორმოცდაექვსი ათას სამას სამოცდაორი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში გადახდის დღისთვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი – სს „თიბისი ბანკი“.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს სს ,,თიბისი ბანკში“ შემდეგ ანგარიშზე **GE30 TB11 0045 0113 0055 55**, რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ ხვიჩა გოგოლაძეს (პ/ნ 11001027535), შერმადინ გოგოლაძეს (პ/ნ 11001002698) და ინდ. მეწარმე გივი გოგოლაძეს (პ/ნ 11001008265)

ეცნობოს ხვიჩა გოგოლაძეს, შერმადინ გოგოლაძეს და ინდ. მეწარმე გივი გოგოლაძეს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია, აუცქიონის შესახებ, ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უწყება (შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“
მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P122204**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRP II/CS/QCBS -04**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **დეტალური პროექტირება და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება 8 გზის მონაკვეთისთვის (დაახლოებით 62 კმ) მომავალი შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტის ფარგლებში**
შერჩევის მეთოდი: **ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **120 დღე**
კონტრაქტის ხელმოწერის თარიღი: **10 ივნისი, 2014 წელი**
შეფასების ვალუტა: **ლარი**

გამარჯვებული საკონსულტაციო კომპანია:
სახელი: **JV Transproject Ltd. & Kocks Consult GMBH Consulting Engineers**
ტექნიკური ქულა: 68.30
ფინანსული ქულა: 20.00
საბოლოო შეფასებული ფასი: 140,980.00 აშშ დოლარი და 354,480.00 ლარი
საბოლოო ქულა: 88.30
საბოლოო ადგილი: 1
საბოლოო საკონტრაქტო ღირებულება: 191,732.80 აშშ დოლარი და 482,092.80 ლარი

შეფასებული საკონსულტაციო კომპანიები:
სახელი: JV SPEA Ingegneria Europea S.p.A. & IRD Engineering S.r.l
ტექნიკური ქულა: 63.83
ფინანსული ქულა: 11.78
საბოლოო შეფასებული ფასი: 588,100.00 აშშ დოლარი
საბოლოო ქულა: 75.61
საბოლოო ადგილი: 2

სახელი: JV Getinsa S.L. & Paymacotas S.A. with sub-consultant Gzamshenproject Ltd.
ტექნიკური ქულა: 60.53
ფინანსული ქულა: 9.47
საბოლოო შეფასებული ფასი: 191,650.38 ევრო და 811,051.80 ლარი
საბოლოო ქულა: 69.99
საბოლოო ადგილი: 3

Contract Award Notification

Project Name: **Second Secondary and Local Roads Project (SLRP II)**
The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**
Project Number: **P122204**

Bid/Contract Reference No: **SLRP II/CS/QCBS-04**
Scope of Contract: **Preparation of Detailed Design and Bidding Documents for Rehabilitation of 8 road sections (appr.62 km) under upcoming Third Secondary and Local Roads Project.**
Method of Selection: **QCBS – Quality and Cost-Based Selection**
Duration of Contract: **120 Days**
Contract Signature Date: **June 10, 2014**
Evaluation Currency: **Georgian Lari**

Awarded Consultant(s)/Firm:
Name: **JV Transproject Ltd. & Kocks Consult GMBH Consulting Engineers**
Technical Score: 68.30
Financial Score: 20.00
Final Evaluation Price: 140,980.00 US Dollars and 354,480.00 GEL
Final Score: 88.30
Final Ranking: 1
Final Negotiated Price: 191,732.8 US Dollars and 482,092.8 GEL

Evaluated Consultant(s)/Firm:
Name: **JV SPEA Ingegneria Europea S.p.A. & IRD Engineering S.r.l.**
Technical Score: 63.83
Financial Score: 11.78
Final Evaluation Price: 588,100.00 US Dollars
Final Score: 75.61
Final Ranking: 2

Name: **JV Getinsa S.L. & Paymacotas S.A. with sub-consultant Gzamshenproject Ltd.**
Technical Score: 60.53
Financial Score: 9.47
Final Evaluation Price: 191,650.38 EURO and 811,051.80 GEL
Final Score: 69.99
Final Ranking: 3

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი" 2014 წლის 3 ივლისიდან აცხადებს აუქციონს შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართის რეალიზაციის შესახებ.

ლოტი №1:
შავი ლითონის არაგაბარიტული ჯართი – სავარაუდოთ 200ტ. – 1ტ. საწყისი საუქციონო ფასი შეადგენს 235 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე;
აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე" (ლოტის ღირებულების 10%), რომელიც წაგების შემთხვევაში მონაწილეს დაუბრუნდება უკან.
გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:
USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.
GEL-Account: საქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი", მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

მყიდველი ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე" არ დაუბრუნდება.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმი დღეების გარდა, 10^{00} – დან 15^{00} – საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).
აუქციონი გაიმართება 2014 წლის 4 ივლისს 12^{00} საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:
1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, ლოტის მითითებით, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:
აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:
ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 77 43 47 42, 5 93 922 802, 5 77 003 707

სს „ელმავალმშენებელის" მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.

◎ მუნდიალი – 2014

დაისვენეთ, ბიჭებო!

იმდენი იძახეს, წლევანდელი მუნდიალი შედეგიანობით ბევრ წინამორბედს აღემატებაო, რომ, პლეიოფებიდან მოყოლებული, გოლები სანატრელი გაგვიხდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ სამშაბათს გამართული ორივე მერვედფინალური შეხვედრის ძირითადი დრო „მშრალად“ – 0:0 დასრულდა.

ეს განსაკუთრებით გაგვიკვირდა არგენტინელთაგან, რომელთა ლიდერ მესის, როგორც იქნა, მადა გაეხსნა და ბომბარდირთა დავაში 4 გოლით მეორე პოზიციას იყოფს ნეიმართან და მიულერთან ერთად, ერთპიროვნულად დაწინაურებული კოლუმბიელი ჭაბუკი როდრიგესი კი აღნიშნულ მრისხანე ტრიოს 1 გატანილი ბურთით უსწრებს. გასათვალისწინებელია შვეიცარიელთა მრავალნაცადი თავკაცის ჰიტცფელდის პიროვნული ტრაგედიაც, რომელსაც მატჩის წინ ძმა დაეღუპა და ბევრი მის სამშობლოში დაბრუნებასაც ელოდა, მაგრამ, როგორც სულით ძლიერი კაპიტანი, იგი საკუთარი გუნდის გემბანზე დარჩა. და მერე როგორ – რომ არა ლიხშტაინერის მიერ მინდვრის ცენტრში 118-ე წუთზე დაშვებული საბედისწერო შეცდომა, კაცმა არ იცის, პენალტების სერიაში რა მოხდებოდა (დიმარია, 1:0).

არანაკლებ დრამატულად განვითარდა მოვლენები ბელგია – აშშ-ის ბრძოლაში, რომლის ბედიც ასევე დამატებით დროში გადაწყდა – 2:1 (დე ბრუინი, ლუკაკუ; გრინი). პირველი წყვილის მსგავსად, ესეც ის შემთხვევა იყო, როცა დასამარცხებლად ვერც ერთ ნაკრებს ვერ გაიმეტებდი. რას იზამ, ასეთია სპორტული ცხოვრება.

მაშ ასე, ბრაზილიური ფორუმის მონაწილეთა რაოდენობის მორიგი გაცხრილვის შემდეგ მეოთხედფინალისტები ასე დაწყვილდნენ:

4 ივლისი
გერმანია – საფრანგეთი (20 სთ),
ბრაზილია – კოლუმბია (24 სთ.).
5 ივლისი
არგენტინა – ბელგია (20 სთ),
ჰოლანდია – კოსტა-რიკა (24 სთ).

გიორგი ზოთაძე

◎ ჭადრაკი

ჰოუ იფანი შეუდარებელი იყო

ლოპოტაში დამთავრდა ფიდეს მოჭადრაკე ქალთა 2013-2014 წლების გრან პრის მე-5 ეტაპი რვა ქვეყნის 12 საუკეთესო დიდოსტატის მონაწილეობით. ისინი წრიული სისტემით ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. შეუდარებელი იყო ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი, რომელმაც 11 შესაძლებლიდან 9 ქულას მოუყარა თავი და უახლოეს კონკურენტებს 2-2 ქულით გაუსწრო. აზიელმა დიდოსტატმა მთავარი პრიზი – 10.000 ევროც დაიმსახურა (სულ ტურნირის საპრიზო ფონდი იყო 60.000 ევრო, რომელიც ადგილების მიხედვით თორმეტივე მოჭადრაკეზე გადანაწილდა). 7-7 ქულით, შესაბამისად, მეორე-მესამე ადგილები გუნდურში მსოფლიოს და საჭადრაკო ოლიმპიადების ჩემპიონმა ძიუ ვენძიუნმა (ჩინეთი) და სომხეთის ქალთა გუნდის შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონმა ელინა დანიელიანმა გაიანაწილეს. 6.5 ქულით მე-4 ადგილზე 2008 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული ნანა ძაგნიძე გავიდა. მომდევნო ადგილებზე მოდიან: მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ანტოანეტა სტეფანოვა (ბულგარეთი), ჰარიკა დრონავალი (ინდოეთი)-6-6, ქალთა მსოფლიო რეიტინგში მესამე ადგილზე მყოფი ჰამპი კონერუ (ინდოეთი), მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი), ანა მუზიჩუკი (უკრაინა. 2014 წლის პირველ ივნისამდე სლოვენიის სახელით გამოდიოდა)-5.5, ჟაო სიუ (ჩინეთი)-3,5, გრან პრის ამ გათამაშების ჟენევის ეტაპის გამარჯვებული ბელა ხოტენაშვილი-3 და ნაფისა მუმინოვა (უზბეკეთი)-1.5 ქულა.

ლაშა დიდია

სურათზე: ჰოუ იფანი.

ტურნირის საზეიმო დახურვისას ასპარეზობის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს შეჯიბრების მაღალ დონეზე ორგანიზებისა და აქტიური დასვენებისთვის ყველა პირობის შექმნის გამო, გულთბილად გაიხსენეს ტურისტულ კომპლექს „მეღვინეობა ხარებაში“ მოწყობილი ექსკურსია, სადაც მათზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა გვირაბმა – ღვინოთა დასაძველებელმა სარდაფმა და იქ დაგემოვნებულმა ქართულმა ელექსირმა.

სურათებზე: ძიუ ვენძიუნმა და ნაფისა მუმინოვამ ჯერ ქართული ღვინო დააგემოვნეს გვირაბში, შემდეგ „შერეკილების“ ცათმფრენს ეწვივნენ; „ლოპოტა-2014“-ის მონაწილეები და ორგანიზატორები „მეღვინეობა ხარებას“ ტერიტორიაზე; ანა მუზიჩუკი ქართულ თონესთან; ანტოანეტა სტეფანოვა, ალექსანდრა კოსტენიუკი და ანა მუზიჩუკი „მეღვინეობა ხარებაში“

ვაჟა დანელიას ფოტო.

◎ მოვლენის წინ

ქაქარი და... სოლიდაროობა ქალებს!

დღეს თბილისის სპორტის სასახლე კიკბოქსინგში WFC ვერსიით K 1-ის ორთაბრძოლებს უმასპინძლებს. მსოფლიოს ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად გიგა ჭიკაძე იაპონელ ნაოკი სამუკავას დაუპირისპირდება. პარალელურად გაიმართება სარეიტინგო ორთაბრძოლები, რომელშიც

ჰოლანდიელი, არგენტინელი, იაპონელი, სურინამელი, რუსი, სომეხი და ქართველი სპორტსმენები იასპარეზებენ. ამ შეჯიბრებასთან დაკავშირებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გაიმართა პრეს-კონფერენცია. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონმა გიგა ჭიკაძემ და ნაოკი სამუკავამ მომავალი ორთაბრძოლის შესახებ ისაუბრეს. ითქვა ისიც, რომ შეჯიბრება საქართველოს კიკბოქსინგის ფედერაციისა და თბილისის მერიის ორგანიზებით ეწყობა. ღონისძიების მხარდამჭერია გაეროს ქალთა ორგანიზაცია, მთლიანი შოუ კი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას ეძღვნება.

ლექსო ცინცაძე

ოლიმპიადისთვის ემზადებიან

ნორვეგიული ტრომსო პირველი აგვისტოდან მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს. ამ მნიშვნელოვანი ასპარეზობისთვის საქართველოს ქალთა ნაკრები (ნანა ძაგნიძე, ბელა ხოტენაშვილი, სალომე მელია, ლელა ჯავახიშვილი, კაპიტანი ნინო გურიელი, მწვრთნელები – ზურაბ სტურუა, ხვიჩა სუპატაშვილი, დავით ჯოჯუა) „ლოპოტა-რეზორტში“ (თელავი) უკვე იყო საწვრთნელ შეკრებაზე. ახლა იქ ვაჟები (მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია, გაიოზ ნიგალიძე, ნაკრების წევრობის კანდიდატები – მერაბ გაგუნაშვილი, ლუკა პაიჭაძე, კონსტანტინე შანავა; ბაადურ ჯობავა უკრაინაში ინდივიდუალური გრაფიკით ვარჯიშობს) ემზადებიან დიდოსტატ ლაშა ჯანჯღავას და რუსი დიდოსტატის – კონსტანტინ საკაევის ხელმძღვანელობით.

ტრომსოში საჭადრაკო ოლიმპიადის პარალელურად ფიდეს გენერალური ასამბლეა გაიმართება, რომელიც 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მასპინძელ ქვეყანას დაასახელებს. ერთ-ერთი კანდიდატი საქართველოცაა. იქვე გირკვევა ევროპის საჭადრაკო კავშირის ახალი თავკაცის ვინაობა. პრეზიდენტობაზე კენჭს იყრიან ამ ორგანიზაციის ამჟამინდელი ბულგარელი ლიდერი სილვიო დანაილოვი და ქართველი დიდოსტატი, 2003 წლის ევროპის ჩემპიონი, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი.

გივი გაგუა

◎ ალიანჩალიანი

რუსეთის ბაზარზე 134 ტონა ქართული ხილი გავიდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სურსათის ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, რუსეთის ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული კონტროლის ფედერალური სამსახურის „როსსელხოზნადზორის“ 4-კაციანი დელეგაციის ერთკვირიანი ვიზიტი დასრულდა.

მათივე ინფორმაციით, ამ ეტაპისთვის საქართველოდან 134 ტონა ხილის ექსპორტი განხორციელდა. კერძოდ, კახეთის რეგიონიდან 82 ტონა ატამი და ვაშლატამა, შიდა ქართლიდან – 35 ტონა ბალი და გურიიდან 17 ტონა ლურჯი მოცვია ექსპორტირებული. ეს პროცესი შემდეგშიც გაგრძელდება.

ქართველი ფიტოსანიტარები ადგილზე მოახდენენ მცენარეული წარმოშობის პროდუქციის სერტიფიცირებას და ის ტვირთი, რომელიც დააკმაყოფილებს რუსეთის ფიტოსანიტარიულ მოთხოვნებს და თავისუფალი იქნება რუსეთისთვის საკარანტინო მავნე ორგანიზმებისგან, თავისუფლად შევა ბაზარზე.

2014 წლის 26 მაისიდან რუსეთში საექსპორტო პროდუქციის ჩამონათვალს მაღალი ფიტოსანიტარიული რისკის მქონე მცენარეული წარმოშობის ქართული პროდუქტი – ახალი კარტოფილი (გარეცხილი, სამომხმარებლო შეფუთვით), პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, ბადრიჯანი, ბალი, ალუბალი, გარგარი, ატამი, ქლიავი, ხურმა, კივი, კენკროვნები დაემატა.

წლის ბოლოსთვის მეოთხე თაობის მობილური გვექნება

2014 წლის ბოლოსთვის საქართველოში მეოთხე თაობის მობილური სისტემისა და მომსახურების (LTE) დანერგვა დაიწყება, – ამის შესახებ ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე გახდა ცნობილი, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გუშინ მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ პრემიერის პრესსამსახურიდან აცნობეს, ინფორმაცია მობილური კავშირგაბმულობის სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ ეკონომიკურ საბჭოს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარემ ვახტანგ აბაშიძემ მიაწოდა.

აუქციონს ქსელის განვითარებისთვის საჭირო სიხშირეებზე კომუნიკაციების ეროვნული კომისია შემოდგომიდან გამოაცხადებს.

განცხადება

ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, ორი ათას ცამეტი წლის თოთხმეტ თებერვალს გარდაცვლილი ქალბატონის მარია სტოლჩენკოვას (პირადი №61001026634) მიმართ, გთხოვთ, დაინტერესებულ პირებს, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა.

ნოტარიუსი ვალიდა ნინიძე
01.07.2014წ.

განცხადება

ჩემს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა, მიმდინარეობს სამემკვიდრეო საქმის წარმოება, ორი ათას თორმეტი წლის ოცდაექვს მარტს გარდაცვლილი ქალბატონის ლუდმილა ალიფეროვას (პირადი №61001054005) მიმართ, გთხოვთ, დაინტერესებულ პირებს, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, ჯავახიშვილის ქუჩა №2ა.

ნოტარიუსი ვალიდა ნინიძე
01.07.2014წ.

◎ პრიმინალი

შპს „ჯორჯიას“ მფლობელი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, HP-ს სასაქონლო ნიშნის მართლსაწინააღმდეგო გამოყენების ფაქტზე , შპს „ჯორჯიას“ ფაქტობრივი მფლობელი გია სამხარაძე დააკავა, ხოლო მისი დამხმარე ვერა სამხარაძე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგენილია, რომ გია და ვერა სამხარაძეებმა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით კუსტარულად დაამზადეს 324 ცალი ჭავლური კარტრიჯი და მათი გაყიდვის გაადვილების მიზნით, დამზადებული კარტრიჯები შეფუთეს HP-ს სასაქონლო ნიშნით უკანონოდ ნიშანდებულ ყუთებში, ხოლო ზემოხსენებულ ყუთებზე სასაქონლო ნიშანთან ერთად დაატანეს HP-ს ჰოლოგრამა.

საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 196-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2 წლამდე ვადით.

ინტერპრესი

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, სს ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კლინიკის ყოფილი თანამშრომელი, სისხლის გადასხმის განყოფილების გამგე, კეთილსინდისიერებით და საქმისადმი ერთგულებით გამორჩეული ქალბატონი

ნანა კასრაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. გამოსვენება 3 VII, 15 სთ. დუშეთში.

ჭუმბურიძეთა საგვარეულო კავშირი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს გვარის გამოჩენილი და საამაყო პიროვნების, ცნობილი მეცნიერისა და პედაგოგის, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ

ბიძინა ჭუმბურიძის

გარდაცვალების გამო. ჭუმბურიძეები მოკრძალებით თავს ვხრით მის წინაშე.

თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, საქართველოს ფარმაცევტთა ასოციაციის საპატიო პრეზიდენტი

ბიძინა ისაკის ძე ჭუმბურიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის კათედრის პროფესორის, მედიკო-ბიოლოგიური და სოციალური მედიცინის აკადემიის აკადემიკოსის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის

ბიძინა ჭუმბურიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს საერთაშორისო კავშირის „საზოგადოება ცოდნის“ თანამშრომლები, უმაღლესი სასწავლებლის ფარმაციის ფაკულტეტის ლექტორები და სტუდენტები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული ფარმაციის პატრიარქი, ჯანდაცვის მრავალი თაობის აღმზრდელი, ღირსეული მოქალაქე და მამულიშვილი, აკადემიკოსი

ბიძინა ჭუმბურიძე

და გულწრფელ სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის

ბიძინა ჭუმბურიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს და მთელ საგვარეულოს.

რედაქცია გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ გაითვალისწინეთ!

აქტიური პროცესები ივლისში

ივლისში გეოფიზიკური აქტივობის გაძლიერება მოსალოდნელია: 5-8, 12-15, 18, 19, 23-28 რიცხვებში. ამ დღეებში შესაძლებელია ციკლონებისა და გრიგალების წარმოშობა, ყველა სახეობის ავარიულობის ზრდა, სეისმოაქტივობის გაძლიერება და დაძაბულობა სოციუმში.

5 – მთვარის პირველი მეოთხედი. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები. შესაძლებელია რადიკულიტი და ტკივილები მენჯის სახსრებში. აუცილებელია დავიცვათ დიეტა, ერიდეთ გაციებას მენჯის მიდამოებში, გააკეთოთ ვარჯიშები სახსრებისათვის. სასურველია, არ გამოვიყენოთ ალკოჰოლი, ცხიმიანი და ცხარე საკვები. კარგია, წამოვიწყოთ ახალი საქმეები, ვიყოთ აქტიურ მუშაობაში ჩაბმული, გვქონდეს ურთიერთობანი სხვებთან. პარტნიორებს გაგებით უნდა მოვეკიდოთ, ვერიდოთ კონფლიქტებს, ვეცადოთ, შევინარჩუნოთ კეთილი განწყობილება.

6 – მთვარის მარსთან შეერთება სასწორში, მთვარის ალმავალი კვანძი. შესაძლებელია თავის ტკივილები, მშფოთვარე ძილი, გაღიზიანება. მოსალოდნელია თირკმელების დაავადებანი, რადიკულიტი. აუცილებელია უარი ვთქვათ ცხარე და ცხიმიან საკვებზე, ალკოჰოლზე, ერიდეთ გაციებას. იყავით ფრთხილად ცეცხლთან, წვეტიან და მჭრელ საგნებთან. ხელსაყრელი დროა ურთიერთობებისთვის, აქტიური დასვენებისთვის, ზომიერი ფიზიკური დატვირთვებისათვის.

8 – მთვარისა და სატურნის შეერთება ღრიანკალში. საალბათოა შარდსასქესო ორგანოების და საყრდენ სამოძრაო აპარატის ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, ძალების მოდუნება, ცუდი განწყობილება. აუცილებელია დავიცვათ დიეტა, გამოვრიცხოთ დიდი ფიზიკური დატვირთვები, ვერიდოთ გაცივებას, ინფექციებს, ცხიმიან საკვებსა და ალკოჰოლს. ახალი საქმეების წამოწყება რეკომენდებული არაა.

12 – სამშაბათი მთვარე, მთვარის შეერთება პლუტონთან თხის რძაში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილება. მეტად საალბათოა ქრონიკულ და ფსიქიკურ დაავადებათა გამწვავება, არტერიული წნევის ამაღლება, შეშუპება. სასურველია, არ დავგეგმოთ ოპერაციები, აცრები. რეკომენდებულია უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, ვერიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს, დავიცვათ ზომიერება კვებაში, ერიდეთ ტრავმატიზმს, გაციებასა და მძიმე ფიზიკურ დატვირთვებს, გამოიჩინეთ სიფრთხილე ტრანსპორტში.

15 – მთვარის ნეპტუნთან შეერთება თევზებში. შეიძლება, შეიმჩნეოდეს ემოციურობა, დაბნეულობა და რაღაცების დავიწყება, მოსალოდნელია ფიზიკური არასტაბილურობა, ქრონიკულ დაავადებათა გამწვავება, თავსმოხვეული იდეები, მხედველობის გაუარესება, ტკივილები ტერფებში, შეშუპება, ალერგია. სასურველია, არ გადავტვირთოთ ფეხები, თვალები, დავიცვათ დიეტა, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე. სასარგებლოა წყლის პროცედურები, მასაჟები, მსუბუქი გასეირნება.

18 – მთვარის ურანთან შეერთება ვერძში. შესაძლებელია კბილების, თვალების დაავადებანი, უძილობა გადაღლილობის გამო. რეკომენდებულია, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, მოწევაზე, ყავაზე, შოკოლადზე, ცხიმიან და მძიმე საკვებზე. სასურველია, დავიცვათ რეჟიმი, ვსვათ მეტი სუფთა წყალი. სასარგებლოა გასეირნება სუფთა ჰაერზე, ფიზიკური ვარჯიშები, სამკურნალო ფიზკულტურა. სერიოზული საქმეები უმჯობესია, არ დავგეგმოთ.

19 – მთვარის უკანასკნელი მეოთხედი. მოსალოდნელი ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილება, შესაძლებელია იმუნიტეტის დაქვეითება, განწყობილების გაუარესება. რეკომენდებულია შევამციროთ ფიზიკური დატვირთვები, ვერიდოთ ცივ სასმელებს, შენობებს კონდიციონერებით, უხარისხო პროდუქტებს – არ არის გამორიცხული კვებითი მოწამვლა. ხელსაყრელი დროა წამოწყებული საქმის დამთავრებისთვის. სასარგებლოა წყლის პროცედურები, გასეირნება, მცირეოდენი შეზღუდვა კვებაში.

24 – მთვარის ვენერასთან შეერთება კირჩხიბში. გაზრდილია ემოციურობა და წყენისადმი მიდრეკილება, ეჭვიანობა. ყურადღებას მოითხოვენ ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საკვების გადამუშავების ტრაქტი. სასურველია, უარი ვთქვათ, ცხიმიან, ცხარე საკვებზე და სპირტიან სასმელებზე. ხელსაყრელი დროა სახლის მორთვისთვის, სურვილების შესრულებისთვის, შოპინგისთვის. ყიდვის დროს იყავით ყურადღებით – შესაძლებელია ზედმეტი ხარჯები, ქურდობა და მოტყუება.

25 – მთვარის შეერთება მერკურთან კირჩხიბში, მზის შეერთება იუპიტერთან. შესაძლებელია, კუჭის, ნაღვლის ბუშტის, ღვიძლის დაავადებათა გამწვავება, შეშუპება. აუცილებელია, დავიცვათ დიეტა, გამოვიყენოთ მსუბუქი საკვები, უარი ვთქვათ ალკოჰოლზე, დავიცვათ დღის რეჟიმი, განვეწყოთ დადებითი აზროვნებისათვის. ხელსაყრელი დროა სახლის კეთილმოწყობისათვის, სიმშვიდის შექმნისათვის და ხელსაყრელი ატმოსფეროსათვის.

26 – მთვარის იუპიტერთან შეერთება ლომში. შესაძლებელია, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებანი, რადიკულიტი. დიდ ყურადღებას მოითხოვს გული და სისხლძარღვები. ისინი არ უნდა გადავტვირთოთ ფიზიკურად, მზის გულზე ყოფნით. აუცილებელია, ვერიდოთ სტრესებს, დავიცვათ დიეტა, გამოვრიცხოთ მოწევა და ალკოჰოლი, ვაკონტროლოთ არტერიული წნევა. სასარგებლოა სამკურნალო გიმნასტიკა, გასეირნება, სრულფასოვანი ძილი.

27 – სასმსე მთვარე, მთვარე ლომის ნიშანში. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილება. საალბათოა იმუნიტეტის, შრომისუნარიანობის დაქვეითება. შეიძლება, ადგილი ჰქონდეს გაღიზიანებას, დათრგუნვას, დაბნეულობას. არახელსაყრელი დროა ახალი საქმეების დასაწყებად. აუცილებელია, გავუფრთხილდეთ გულს, ვაკონტროლოთ არტერიული წნევა, უარი ვთქვათ მოწევასა და ალკოჰოლზე, მძიმე ფიზიკურ დატვირთვაზე, ოპერაციებსა და აცრებზე.

◎ რა არ ხდება ქვეყანაზე!

რაისა გორბაჩოვას ჭერიც მოჰყვა...

ვინც კი აფხაზეთს მეტ-ნაკლებად კარგად იცნობს და ამ ზღაპრულ მხარეში უმოგზაურია, უდავოდ ყურადღებას მიაქცევდა ერთ საგულისხმო გარემოებას: იოსებ სტალინი თავის „მემკვიდრეებზე“ გაცილებით მორიდებულად ცხოვროდა.

ბიჭვინთაში ნიკიტა ხრუშჩოვის ორსართულიანი რეზიდენცია, სადაც იგი 1964 წელს გადაყენებამდე ცოტა ხნით ისვენებდა, თავისი აივნებითა და სვეტებით, ინტერიერით, მორთულობით, საცურაო აუზით და ა. შ., სტალინის აგარაკებზე გაცილებით პომპეზურია. აფხაზეთში მეორე სახლი ხრუშჩოვმა რიწის ტბაზე სტალინის ყოფილი აგარაკის გვერდით ააშენებინა.

ლეონიდ ბრეჟნევმა, რომელმაც „ტბის“ ორივე აგარაკი „მემკვიდრეობით“ მიიღო, ისინი დერეფნით შეაერთებინა, მაგრამ სხვა არაფერი შეცვალა.

ყოფილი სსრ კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი მიხეილ გორბაჩოვი კი ყველაზე „ყოჩაღი ბიჭი“ გამოდგა – მიუსერაში მისი აგარაკი ახლაც გასაოცარი სანახავია. ეს სულაც არ არის „სტალინისეული ქოხი“, ეს ნამდვილი სასახლეა – ზედ ზღვის პირას ხუთსართულიან შენობაში სტუმართთვის უამრავი აპარტამენტია, მრავალი ლიფტი, დაცვისა და მომსახურე პერსონალისთვის განკუთვნილი ოთახები, საგანგებოდ დამზადებული ავეჯი, ჭურჭელი, ხელით ნაკეთი ვიტრაჟები (მათი ავტორი ზურაბ წერეთელია), პლაჟზე კი... წყალქვეშა ნავის მისადგომი(!!!).

აგარაკის მშენებლობა მიხეილ გორბაჩოვის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად არჩევისთანავე, საქართველოს კომპარტიის ცკ-ის პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის განკარგულებით დაიწყეს. მას იუგოსლავიელი მშენებლები დიდი რუდუნებით საბჭოთა კავშირის დაშლამდე აგებდნენ. ეს გარემოება, როგორც ამბობენ, გორბაჩოვის მეუღლეს რაისას „ფაქტორმა“ განაპირობა, რომელიც ყოველ ჩამოსვლაზე რაღაცას ცვლიდა, სააბაზანო ოთახთან დაკავშირებით კი რამდენიმე პასუხისმგებელ პირს გულის შეტევა მოუვიდა. ყველაზე გასაოცარი კი ისაა, რომ რაისა გორბაჩოვას გარდაცვალებიდან ერთ საათში აგარაკზე... ჭერი ჩამოიქცა...

ათი უდიდესი იმპერია კაცობრიობის ისტორიაში

იმპერია – ესაა სახელმწიფოთა ან ეთნიკურ ჯგუფთა გაერთიანება, რომელსაც ერთიანი ხელმწიფე ჰყავს, ან ოლიგარქთა ჯგუფი უდგას სათავეში. ლათინური სიტყვა „იმპერია“ („imperrare“) „მეთაურობას“ ნიშნავს. კაცობრიობის ისტორიაში ყველა არსებული იმპერია, თავის გაფურჩქვნის ხანაში უძლეველი ჩანდა, თუმცა კი, საბოლოო ანგარიშით, ყველა მათგანი დაიშალა.

1. თავისი აღზევების ხანაში, 1810-იან წლებში, პორტუგალიის იმპერიას 6,4 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობის მიწები ეკავა.

2. 1938 წელს საფრანგეთის იმპერიას 8 მილიონი კვადრატული კილომეტრის ფართობის კოლონიები ჰქონდა დაპყრობილი.

3. აბასიდების ჰალიფატის ტერიტორია 850 წელს 6,9 მილიონი კვადრატული კილომეტრი იყო.

4. ჩინეთის პირველი მმართველი დინასტიის იუანის დროს, ჩ.წ.ა. 1300 წელს, ქვეყნის ტერიტორიამ 8,7 მილიონ კვადრატულ კილომეტრს მიაღწია.

5. ამ ქვეყნის ბოლო მმართველი დინასტიის ცინის პერიოდში კი, 1790 წელს, იმპერია 9,14 მილიონ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას აკონტროლებდა.

6. მე-7 საუკუნეში, ძლევამოსილების პიკზე ომეიადების ჰალიფატის ტერიტორია 9,32 მილიონ კვადრატულ კილომეტრამდე გაიზარდა.

7. ესპანეთის იმპერია, მე-18 საუკუნის შუა ხანებში, თავისი სიძლიერის პიკზე, დედამიწაზე ხმელეთის 13 პროცენტს, 12,1 მილიონ კვადრატულ კილომეტრს აკონტროლებდა.

8. აღზევების ხანაში, 1866 წელს, რუსეთის იმპერია 14,66 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე იყო გადაჭიმული.

9. მონღოლეთის იმპერიის ტერიტორია მე-13 საუკუნის მიწურულისთვის, იაპონიის ზღვიდან აღმოსავლეთ ევროპამდე ტერიტორიას (15 მილიონ კვადრატულ კილომეტრს) მოიცავდა.

10. მაგრამ ზომით მაინც ყველაზე დიდი ბრიტანეთის იმპერია იყო, რომელიც რამდენიმე კონტინენტის 21 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე მდებარეობდა, რაც დედამიწაზე ხმელეთის 23 პროცენტს შეადგენდა. მისი გაფურჩქვნის ხანაში წარმოიშვა ცნობილი გამოთქმა: „ბრიტანეთის იმპერიაში მზე არასოდეს ჩადის“.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ჩემს მანქანას საბურავი დაეშვა, რა ვქნა?

– მთლიანად დაეშვა?

– არა, ნაწილობრივ, მხოლოდ ქვევიდან.

* * *

– მამი, ქმარი მღალატობს, როგორ მოვიქცე?

– მაგაზე უმჯობესია, დედაშენს დაელაპარაკო, ამ საქმეში დიდი გამოცდილება აქვს.

* * *

მორიდებულმა ყმაწვილმა წვეულებაზე სიმპათიური გოგო გაიცნო.

– შეიძლება გაგაცილოთ? – დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ ეკითხება იგი გოგოს. – ჩემთვის დიდი პატივი იქნება, რომ სახლის კარამდე მივაცილო გამოცდილი ახალგაზრდა ქალი.

– მაგრამ მე სულაც არა ვარ გამოცდილი! – ეუბნება გაკვირვებული გოგო.

– რა თქმა უნდა, არ იქნებით. ჯერ ხომ არ მივსულვართ სახლში.

* * *

საგზაო მოძრაობის წესები იმისთვის მოიგონეს, რომ ავარიის შემდეგ დაადგინონ, ვისი ბრალი იყო ავტოსაგზაო შემთხვევა.

ქართული ფლორის საოცრება

„სალხინო“ უებარი წამალია

„სალხინო“ აწესრიგებს შარდსასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. რეკომენდებულია მასტოპათიების, ჭრილობების, კანის, ლორწოვანი, ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი სისტემის ანთებითი დაავადებების დროს. რინიტის, ბრონქიტის, პულპიტის, გინგივიტის, პარადონტიტის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ჰეპატიტის, ნეფრიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, პროსტატიტის, რადიკულიტის, ბუასილისა და სხვა ანთებითი პროცესებით გამოწვეული დაავადებების მკურნალობა-პროფილაქტიკისათვის. აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედებას.

„სალხინო“ სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭისა და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს, გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ „სალხინოს“ მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

„სალხინოში“ შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებული და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

„სალხინო“ იკითხეთ აფთიაქებში.

- გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.
- გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს.

ტელ.: 214 41 58; მობ.: 577 49 94 84
www.salkhino.ge

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად ღირსეულად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, თევდორე მღვდლის 13 (აკადემიკოს ფრიდონ თოდუას კლინიკის გვერდით). ტელ.: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
299-62-77; 568 82-09-84..

◎ ფოტოფაქტი



კოსმონავტი ძროხა ჰამბურგის პლანეტარიუმში. ეტყობა, გერმანელებს პირველი კოსმოსური რძის წარმოების იდეა აწუხებთ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24